ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 82

კვირა, 22 მაისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 82

კვირა, 22 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ამ ნომერში 20 გვერდია

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ვეტცელის თეატრი.

(მიხაილოვის პროსპექტი)

ორშაბათს, 23 მაისს, 1905 წ. ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ

წარმოდგენილი იქნება

და-ძმა

დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. დავითაშვილი, ნ. საფაროვი; ბ.ბ. სვიმონიძე, ივანიძე, სარჯველაძე, საფაროვი, ბეგლარიძე, ხახანაშვილი, რომანიშვილი, ქეიძე, იმედაშვილი და სხვა.

ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 30 კ-მდე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (2—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძოლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძოლიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

მიმოსვლის თავისუფლება

დაწინაურებულ ქვეყნების ისტორია, მათი განვითარების მსვლელობა ბევრის მხრით სარკეა უკან ჩამორჩენილ და ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებისათვის. დღეს რუსეთში თითოეული პროგრესიული პარტია, სხვათა შორის, ებრძვის არსებულ საპასპორტო დებულებას და თხოულობს მიმოსვლის სრულს თავისუფლებას. დასავლეთ ევროპაშიაც იყო ისეთი დრო, როცა მოწინავე პარტიებს ამგვარისავე საგნისთვის უხდებოდათ ბრძოლა და მთავრობაზე იერიშის მიტანა. შემდეგში იქ პროგესიულმა მოთხოვნილებამ გაიმარჯვა და ხალხმა, სხვა თავისუფლებასთან ერთად, ეს თავისუფლებაც ბრძოლით მოიპოვა.

რუსეთში კი ეს დღესაც საბრძოლველ და საკამათო საგანს შეადგენს. იქნება, ვინსმე ეგონოს, ვითომ საკითხი მიმოსვლის თავისუფლებისა და პასპორტის შესახებ მცირე მნიშვნელობის საგანი იყოს და ამიტომ თანამედროვე მოთხოვნილების თანახმად მისი გადაუწყვეტლობა ბევრს არაფერს ნიშნავდეს ხალხის წარმატებისა და წინმსვლელობისათვის.

ასეთი აზრი შემცდარია, ვინაიდან აწინდელ საპასპორტო კანონმდებლობით ხალხის შევიწროება ფრიად აბრკოლებს მთელის საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ განვითარებას და განსაკუთრებით ხელს უშლის არსებობისათვის ბრძოლაში მშრომელ ხალხს. და თუ ბიუროკრატია, მიუხედავად ამისა, მაინც არ ფიქრობდა ძველ წესის შეცვლას და ხალხისთვის შეღავათის მიცემას, ამის მიზეზი თვითონ ბიუროკრატიის განუსაზღვრელ ბატონობის სურვილში, ხალხის უსიტყვო მონობა-მორჩილებაში და აგრეთვე ეკონომიურ ცხოვრების განუვითარებლობაში არის მოსაძებნი.

ბიუროკრატიისთვის ხელსაყრელია ხალხის დამორჩილება და თითოეულ პირისთვის ყოფაქცევის რეგისტრის შედგენა; მისთვის საჭიროა იცოდეს, ვინ სად მიდის, რა გზას ადგება, რას აკეთებს, რათა მის ბატონობას ვერავინ მოუმზადოს რაიმე ხიფათი, ვერ გაუწიოს შეერთებული წინააღმდეგობა. რასაკვირველია, ბიუროკრატია არსად არ იღებს ხელს თავის ნებით თავის უფლებასა და ბატონობაზე, თუ მას ძალა არ დაატანეს და დათმობა არ აიძულეს. ხალხის მოძრაობა და ბრძოლა აუცილებელია ყოველგვარ უფლებისა და თავისუფლების მოსაპოებლად...

მაგრამ ხალხის მორჩილება და მუნჯობა დიდის ხნით შეუძლებელი ხდება. ცხოვრება არას დროს არ არის ერთ დონეზე გაჩერებული,—იგი მუდამ მოძრაობს და წინ მიდის. და რამდენადაც იცვლება ცხოვრების წესი, იმდენადვე აუცილებელი ხდება ძველ იურიდიულ წყობილების შეცვლაც და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებთან კანონმდებლობის შეთანხმება.

მიმოსვლის თავისუფლების აკრძალვა შეიძლებოდა, როცა ეკონომიური ცხოვრება სადა იყო და არსებობისათვის ბრძოლაში ადამიანს არ ესაჭიროებოდა დღევანდელსავით მოუსვენარი მოქმედება და თავის საქმიანობის ერთის ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა. ძველად, როცა გლეხი სავსებით მემამულის ხელში იყო და მხოლოდ სასოფლო მეურნეობით უნდა ერჩინა თავი და ერჩინა ბატონიც, როცა ქალაქებში ამქრული წყობილება სუფევდა და აქაური მრეწველ-ხელოსნობა, მეტოქობის შესამცირებლად, წარმოებას ვიწრო კალაპოტში აყენებდა,—ამ დროს შესაძლებელი იყო თავისუფალ მიმოსვლის უარყოფა და აკრძალვა. მაშინდელ წარმოების წესის მიხედვით ხალხს კარ-ჩაკეტილადაც შეეძლო—ავად თუ კარგად—ცხოვრება და თავის მოთხოვნილებათა, ასე თუ ისე, დაკმაყოფილება.

მაგრამ ეს დრო, კარგა ხანია, ისტორიას ჩაბარდა და საზოგადოებრივი ცხოვრება დღეს სულ სხვა საფუძველსა და პირობებზეა დამყარებული. გლეხი ეკონომიურად აღარ არის მიწაზე მიკრული. მას დღეს მარტო მიწის მოსავლით აღარ შეუძლიან არსებობა. იგი იძულებულია თავის ბიუჯეტის შესავსებად სხვადასხვა ადგილს ეძებოს სამუშაო და შრომის შემოსავალი. გლეხობაში თანდათან იზრდება რიცხვი სრულიად უმამულოებისა, რომლებმაც სასოფლო მეურნეობის გარეშე უნდა მიმართონ სხვადასხვა საქმეებს. ქალაქები, საშუალო საუკუნოების დროინდელსავით, აღარ არიან სახელოსნო წარმოების ანაბარა დარჩენილნი. აქ თანდათან იზრდება მსხვილი სამრეწველო წარმოება, რომელიც ხელობის თავისუფლებასა, თავისუფალ მეტოქობის პრინციპსა და ნაქირავებ შრომაზეა დაფუძნებული. და ასეთ დროში განა შეიძლება მიმოსვლის თავისუფლების უარის ყოფა და სოფლიდან ქალაქში ან ქალაქიდან სოფლად ხალხის გადასვლა-გადმოსვლისთვის, რომელიც უმთავრესად ეკონომიურ მიზეზებითაა გამოწვეული, დაბრკოლების მიცემა და ხალხისთვის ხელ-ფეხის შებოჭვა?

ცხადია,—არა. მაგრამ ბიუროკრატია ამას არ უკვირდება და თოკს მანამდის ეწევა, სანამ ხელში არ გაუწყდება. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ცხოვრება აუცილებლადა ხდის მიმოსვლის თავისუფლებას, ბიუროკრატია ხალხს ხელში იჭერს და, საპასპორტო კანონების ძალით, ადგილიდან ფეხს არ აცვლევინებს. მას სჯერა და უნდა სხვებიც დააჯეროს, რომ ცხოვრება მის საკანცელარიო წესდებას ემორჩილება...

მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ასეთი მაჩანჩალა მოწინააღმდეგე ბოლოს და ბოლოს მაინც ვერას დააკლებს ცხოვრების ძალას და ვერ გააჩერებს საზოგადოების წინმსვლელობას. ეს წინმსვლელობა მასაც ძალას ატანს,—ცხოვრების მოთხოვნილებას ანგარიში გაუსწოროს და თავისი უფლებები ნაწილ-ნაწილ შეჰკვეცოს...

ამ მხრივ საყურადღებო ამბავი გადმოგვცა გუშინ ტელეგრაფმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში ახალი პროექტი წარუდგენია პასპორტების შესახებ. ამ პროექტით უნდა გაუქმდეს ეხლანდელი წესი პასპორტების გაცემისა და ყველას უნდა მიეცეს უვადო პასპორტები და თავისუფალ მიმოსვლის უფლება, გარდა უცხოელებისა, ებრაელებისა ნებადაურთველ ქალაქებში და იმ პირებისა, რომელნიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იქმნებიან.

თუ ეს პროექტი მართლა დაკანონდა, იგი რამოდენიმედ შეღავათს მოგვცემს ყველას, მაგრამ ამით მაინც არ იქნება განხორციელებული მიმოსვლის სრული თავისუფლება. ეტყობა, ,,პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ‘‘ დაყენება რუსეთის იმპერიის მოქალაქეთა ძირითად და სამუდამო კანონადაა ცნობილი, რომელსაც, პროექტის შემდგენელთა აზრით, შემდეგშიაც არ მოელის არავითარი ცვლილება... და, აბა, ბიუროკრატიას ვინ დაუშლის,—თუ ეს მის ნებაზე იქნება,—როგორც დღეს, ისე შემდეგშიაც ყველანი «ზედამხედველობის» ქვეშ დააყენოს და წასვლა-მოსვლისთვის საჭირო პასპორტი მოუსპოს...

* * *

გლეხი და არჩევანი

რუსების ლიბერალურ ცენტრს, რომელიც ათასნაირ კონსტიტუციას იგონებს და საყოველთაო არჩევანს უარჰყოფს, ორივე მხარე ჰკიცხავს და ლანძღავს: მემარცხენენიც და მემარჯვენენიც. მემარცხენენი ერთ ნაბიჯსაც არ უთმობენ საყოველთაო არჩევნიდან და აღშფოთებულნი უარჰყოფენ იმ უნიადაგო ლიბერალების მოსაზრებებს, რომელთაც ხალხის შემოქმედებითი ძალა არა სწამთ. რად გეშინიანთ გლეხებისა?—ეუბნებიან ლიბერალებს,—ეხლა გლეხი წინანდელი მორჩილი და უენო მონა აღარ არის. ის თავის თავის დაცვას მშვენივრად მოახერხებს და ისიც კარგად იცის, თუ როგორ უნდა დაიცვას თავი. მაშ გაუხსენით რაღა ხელ-ფეხი და მიეცით მოქალაქის სრული უფლებანი. გლეხობა ხალხის 80 პროცენტს შეადგენს. მაშ ცხადია, რომ იმათ, ვინც საყოველთაო კენჭის ყრას თხოულობენ, უნდათ, რომ რუსეთის ბედის გადაწყვეტის დროს გლეხსაც ისეთივე ხმა ჰქონდეს, როგორიც სხვებს ექნებათ. გლეხი ოთხი მეხუთედია მთელი რუსეთისა, მაშასადამე, მთავრობის ოთხი მეხუთედიც იმისი უნდა იყოს.

მეორე მხრით, აიღეთ და გადაათვალიერეთ რუსეთის კონსერვატიული პრესსა. ნურაფერს ვიტყვით „მოსკ. ვედ.‘‘-ის შესახებ, რომელსაც ეხლა მარტო ხულიგანები და თუ კითხულობენ. აიღეთ ,,ნოვოე ვრემია‘‘, აიღეთ ,,სლოვო‘‘, რომელნიც პირად ინტერესებისთვის კი არ არიან კონსერვატიული, არამედ რწმენით; აიღეთ, გადაათვალიერეთ და ნახავთ, რომ ესენიც კი ესარჩლებიან გლეხებს და აცხადებენ, გლეხის აზრს ერობაშიაცა და მომავალ საერო წარმომადგენლობაშიაც გადამწყვეტი ხმა უნდა ჰქონდესო.

კაცი იფიქრებს, ვითომ რუსის გლეხს ეს ვაჟბატონები არ იცნობენო და იმიტომ არის, რომ ორივე უკიდურეს პარტიას იმედი აქვს გლეხობის მოსარჩლეობისაო. და რადგან ორივე პარტია ასე ცხადად ესარჩლება გლეხებსა და მტკიცე რწმენით ლაპარაკობს მათ შესახებ, ცხადია, რომ ერთი მათგანი ძალიან უნდა სცდებოდეს.

იმ მოსაზრება-საფუძველს, რომელსაც კონსერვატორები იცავენ და რომელმაც რუსეთი ამ დღემდის მიიყვანა, მათის აზრით, მტკიცე ნიადაგი სწორედ გლეხობაში უნდა ჰქონდეს.

სწორედ ამავე აზრისანი არიან ზოგიერთი კონსტიტუციონალისტებიც. ღმერთმა დაგვიფაროს,—ამბობენ ისინი,—რომ გლეხობას ეხლავე მიეცეს გადამწყვეტი ხმა: სახელმწიფოს განახლებისა და აღდგენის მაგივრად რუსეთის გლეხი პროგრესიულ მოძრაობას ისე მოაბრუნებს უკანვე და ისეთ დღეს დააყენებს, რომ მის წინაშე ნაპოლეონ მესამეს პლებისციტიც კი მკრთალი გამოჩნდებაო.

თქვენ მხოლოდ ჰკითხეთ გლეხობას,—ამბობენ დემოკრატები—და ნახავთ, რომ ეს გლეხობა რუსეთს არა თუ ევროპას ამოუყენებს გვერდში, არამედ განათლების ბუდედაც გახდისო. იმისთანებიც კი ბლომად მოიპოვებიან, რომელნიც ამტკიცებენ, ვითომ სოციალურ რეფორმების მოსახდენად რუსეთი უფრო მომზადებულია, ვიდრე დასავლეთი ევროპაო. მერე რაშია საქმე? ნუ თუ ერთ-ერთი პარტია ასე ძლიერ სცდება გლეხობის პოლიტიკურ მისწრაფებათა გამოკვლევის დროს?

არა, ეს ასე არ უნდა იყოს. როცა ჩვენ ხალხის სურვილის შესახებ ვლაპარაკობთ და ვამტკიცებთ, რომ მას თავის თავის მოვლის უფლება უნდა ჰქონდესო, ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში მხოლოდ თავისუფალი და შეგნებული ხალხი გვყავს. აი, ამიტომ ყოველთვის, როცა ჩვენ საყოველთაო არჩევანზე ვლაპარაკობთ, იმავე დროს ვუმატებთ ყოველნაირ თავისუფლების საჭიროებას: სიტყვისას, პრესსისას, აგიტაციისას, კავშირებისას და სხ. ამბობენ, როცა ხალხს თავის აზრის გამოთქმის ნებას მისცემენ, მაშინ ის თვითონვე მოითხოვს ამ თავისუფლებას და ამიტომ წინდაწინვე მისი მოთხოვნაც საჭირო არ არისო. ნამდვილად კი ეს მოსაზრება შემცდარი და ყალბია: არჩევანს წინ თავისუფლება უნდა უძღოდეს. ეს მშვენიერად ესმის ყველას. ნამდვილი დემოკრატებიც ყოველთვის იმეორებენ ამას, როცა კი საერო წარმომადგენლობაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი.

კონსევატორები კი, რომელთაც საზოგადოების მოტყუებაც უნდათ და ხალხისაც, არა თუ ამის შესახებ ხმასაც არ იღებენ, არამედ ამ თავისუფლებაზე არას დროს არ დასთანხმდებიან, რადგან გრძნობენ, რომ თავისუფლება მათ ფეხქვეშიდან ნიადაგს გამოაცლის. ისინი ნამდვილ ხალხზე კი არ ზრუნავენ, იმ თავისუფალ ხალხზე კი არ ლაპარაკობენ, რომელსაც თავის საჭიროება ესმის, არამედ იმ მონებზე, რომლებსაც დღემდის ატყუებდნენ, ატყუებენ და განზრახ არ გამოჰყავთ ბნელ მაღაროდან. აი, სწორედ ამიტომ უარჰყოფენ საყოველთაო არჩევანსაც, ფარულ კენჭის ყრასაც და უფრო კი—ყოველგვარ აგიტაციას.

იმათ ისეთი გლეხობა ჰყავთ მხედველობაში, რომელიც სულიერად ასი წლობით დამონავებულია სამღვდელოებით, ბატონებითა და ბიუროკრატიით, რომლებმაც მთელ გლეხობას შეგნების გზა მოუსპეს და ბნელ ორმოში ჰყავთ დამწყვდეული. პატარაობიდანვე გლეხს სულ ერთნაირი დარიგება და ქადაგება ესმის. იმას ეუბნეოდნენ და უმტკიცებდნენ, რომ შენ უნდა გწამდეს არა მარტო ღმერთი, არამედ მთავრობაც და გულკეთილი მემამულეც და მხოლოდ შენს მტერს ინტელიგენტს უნდა ერიდოო. მისი სულიერი თვალი სიბნელეს შეაჩვიეს და სინათლეს არიდებდნენ. აი, ასეთ სულიერად მონა-გლეხს უნდათ მისცენ საარჩევნო ხმა და მერე მისი აზრი ხალხის აზრად დასახონ!

პატრიოტები პროექტებს პროექტებზე გზავნიან და თხოულობენ, არჩევანი წოდებრივი უნდა იყოსო. მათის აზრით, ეს არჩევნები საერობო და სამაზრო უფროსების მფარველობით და ზედამხედველობით უნდა მოხდეს.

მემარცხენენი კი სულ სხვანაირად ფიქრობენ. იმათ მშვენივრად იციან, თუ როგორ ზრდიდნენ ჩვენს გლეხობას, იციან ის მარწუხი, რომელშიაც ეს გლეხობა ფართხალობს, მაგრამ მაინც სწამთ მისი ჯერჯერობით დამალული სულიერი ძალა; სწამთ, რომ, როცა მას ხელფეხი გაეხსნება და თვალი აეხილება, იმწამსვე გაქრება მისი ცრუმორწმუნეობა (სარწმუნოება ხომ თითქმის მოესპო კიდევაც), მოისპობა მისი მონური ქეჯდახრილობა და მის მაგივრად დაიბადება ადამიანის უფლებათა გრძნობა, შეგნება.

ჩვენს ინტელიგენციასაც გლეხის ასეთი გადავარება და გამოფხიზლება უნდა და უნდა სწორედ ამისთანა გლეხს ჩააბაროს საარჩევნო კენჭი.

ეს კონსერვატორთა ბანაკსაც კარგად ესმის და ამიტომ გულუბრყვილოდ გვეკითხებიან: „როგორ? თქვენ ჩვენი გულკეთილი გლეხის გაფუჭებასა და დამახინჯებას აპირობთ?“ ისე ლაპარაკობენ, თითქო შეიძლებოდეს მონა კარგი კაცი იყოს! თითქო იმის ხმას ფასი ჰქონდეს, იმ ხმას, რომელიც თავისუფალ გონებით კი არ არის შექმნილი, არამედ ძალდატანებით, მორჩილებით!

ეს ,,ნოვოე ვრემია‘‘-სა და იმის მაგვარ ფარისეველებსაც კარგად ესმით, მაგრამ მაინც პირმოთნეობენ, თავს იკატუნებენ და ამტკიცებენ, გლეხი საშინლად გვიყვარსო და ჰგონიათ, რომ მათი ცრუ და ყალბი დემოკრატიზმი სწამს ვისმე. მხოლოდ ამით აიხსნება ის საკვირველი მოვლენა, რომ საერო წარმომადგენლობის ამ ძირითად პირობაში მემარცხენენიცა და მემარჯვენენიც ერთსა და იმავეს თხოულობენ.

ინტელიგენტები საყოველთაო არჩევანს იმიტომ თხოულობენ,—ამბობენ ,,პატრიოტები‘‘,—რომ თვითონ უნდათ პარლამენტში გლეხობის დეპუტატებად მოსვლაო, და ცდილობენ—გლეხი მძარცველ ინტელიგენტისგან დაიცვან.

— მიეცით გლეხს წოდებრივი არჩევანი, დაე, გლეხმა ისევ გლეხი აირჩიოს. დაე პარლამენტი გლეხური იყოსო.

მერე რა, განა ცუდია? ცუდი არ არის, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ნამდვილად გლეხი წმინდა უფლებას მოუსპობენ, ვექილებს არ აყოლიებენ და ხალხისა და მისი ბატონის ბრძოლაც რანასწორი არ იქნება, ერთ მხრივ დადგებიან საერობო გამოცდილებით აღჭურვილი მემამულეები და საფინანსო მეცნიერებისა და სტატისტიკის საიდუმლოებით შეიარაღებული კაპიტალისტები; მეორე მხრით კი—თუმცა მრავალი, მაგრამ ისეთივე უხმო სტატისტები, როგორნიც არიან გლეხები ერობაში. გლეხები შეგნებულნიც რომ იყვნენ, ჯერ-ჯერობით მაინც მშიშრები, გაუბედავნი და გაუნათლებელნი არიან და ამიტომ ბრძოლის შედეგიც ეხლავე ცხადია (ნ. ჟ.).

ა. ნოვიკოვი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

20 მაისი.

პარიზი, 20 მაისი. მეფე ალფონსი შალონიდან 6 საათზე დაბრუნდა, ხალხი შეეგება. საღამოთი ელისეის სასახლეში იყო. მოსალოცი დეპეშები განუწყვეტლივ მოდის. ტომსონმა ისპანიის მინისტრის პატივსაცემლად ნადიმი გამართა, სადაც სადღეგრძელოები წარმოითქვა. აფეთქებულ ყუმბარას სულ 91 დაუჭრია. ანარხისტების ბინებს კიდევ სჩხრეკავენ. ეტყობა, რომ მეფის მოკვლა შეთქმულობის შედეგია. შეთქმულობაში ისპანელები ყოფილან და მეფე ალფონსის მოკვლა სდომებიათ. პუბლიცისტი მალატო, ცნობილი ანარხისტი, დაატუსაღეს. ბრალსა სდებენ მას, ისპანიის ანარხისტებს ბინა თავის სახლში მისცაო.

მინსკი, 19 მაისი. გაიფიცნენ მეჩექმეები, წინდების მქსოველნი და ტრეპელის ქარხნის მუშები. დურგალთა გაფიცვა გათავდა.

ლოძი. უბნის ზედამხედველი პოლკოვსკი ზურგში დანით დასჭრეს. დამნაშავე მიიმალა. ყასბები შეთანხმდნენ.

ბაქო, 19 მაისი. დღის პირველი საათის ნახევარზე ტორგოვოისა და კრასნოვოდსკის ქუჩების შესართავში რევოლვერით მოჰკლეს პოლიციელი კარიჩენკო. ამ კარიჩენკომ ტელეფონის ქუჩაზე აღმოაჩინა ყუმბარების საწყობი, რის გამოც რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. მკვლელები მიიმალნენ,

ყაზანი, 20 მაისი. გუბერნატორმა გამოსცა დადგენილება იარაღით ვაჭრობისა და შენახვის შესახებ. ვაჭართ უნდა იქონიონ საგანგებო წიგნები, სადაც აღნიშნული უნდა იყვეს გასაყიდი იარაღი და ტყვია-წამალი და უნდა იწერებოდეს, როდის და ვის რა მიჰყიდეს. იარაღი უნდა მიჰყიდონ მხოლოდ იმათ, ვინც გუბერნატორის მოწმობას წარმოადგენს. ვაჭრები ამ მოწმობებს უნდა ინახავდნენ, როგორც გასამართლებელ საბუთებს. ვისაც რევოლვერები ნაყიდი აქვს, გუბერნატორისაგან უნდა აიღოს მოწმობა.

ოლონეცი, 19 მაისი. ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე ვაყინის სახელოსნო სკოლის გამგის ნიკოლოზ ფედოროვისა, რომელსაც ცოლის მოწამვლა ბრალდებოდა. ბრალდებული გაამართლეს, განაჩენს მაყურებლები ტაშის ცემით მიეგებნენ.

ბერლინში. მას დახვდა გენერალი არნიმი. გზაში ხალხი ფრანგებს აღტაცებით სალამს აძლევდა.

ბათუმი, 20 მაისი. თეატრში შესდგა მთავრობისაგან ნება-დართული მიტინგი. მიტინგს აურაცხელი ხალხი დაესწრო, თავის მწუხარება გამოსთქვა მაჰმადიანთა ყადის მოკვლის გამო და აირჩია კომისია, რომელიც უნდა ეცადოს მოსალოდნელი უთანხმოებანი და უბედურებანი თავიდან აიცილოს.

პეტერბურგი, 19 მაისი. გაზეთ „ნაშა ჟიზნ“-ის № 95 და სხვა გაზეთები გადმოგვცემენ, გარეშე საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საზღვარ-გარეთელ წარმომადგენლებს გაუგზავნა ცირკულიარული ცნობა, რომ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა ამ ცოტა ხანში მოხდებაო. შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ამის შესახებ არავითარი ცირკულიარი არავისთვის არ გაუგზავნია.

პარიზი, 20 მაისი. გამოირკვა, რომ ისპანიის მეფის მოკვლა ანარხისტებს განუზრახავთ.

ყუმბარის გამსროლის სახელი არ იციან. დატუსაღებული მისი ამხანაგი გამოტყდა, შეთქმულობა გვქონდაო და უჩვენა ის ადგილი, სადაც სხვა ყუმბარები ინახება. დატუსაღებულია ჟურნალისტი ანარხისტი ნაკადო, რომელსაც ბარცელონიდან ყუმბარები გამოუგზავნეს.

რიაზანი, 19 მაისი. სადამოთი ქალაქის ბაღში მუზიკის შემდეგ უცნობმა ერთი ავტომატიური ყუთი გადააგდო, რომელიც კრიახშად გაიშალა და ხალხი ააჩოჩქოლა. გარეშემო კი პროკლამაციები მოეფინა.

ლიბავა, 19 მაისი. საბჭომ სადამოს სხდომაზე გადასწყვიტა კვირა-უქმე დღეებში დუქან-მაღაზიებში შესვენების გაწესრიგება.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

21 მაისი.

ვაშინგტონი, 20 მაისი. იაპონიის ელჩი ტაკაზასა დღესაც ეთათბირა რუზველტს. საიმედოდ მიაჩნიათ, რომ ზავი მალე ჩამოვარდება. ხმა დადის, ვითომც მეიერმა, ამერიკის ელჩმა პეტერბურგში, უკვე იცის იაპონიის საზავო პირობებიო.

ლონდონი, 20 მაისი. „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი კრეისერ „ადმირალ ნახიმოვის" უფროს ესაუბრა, რომელსაც უთქვამს: „ჩვენ ავირჩიეთ უფრო მოკლე გზა ვლადივოსტოკისაკენ. როდესაც ერთს სრუტეში შევედით, იაპონელებს შევხვდით, რომელთაც, სამწუხაროდ, წაგვიტყუილეს. მალე იაპონელები წინაც გამოგვეცხადნენ და უკანიდანაც გვედევნენ. ალყაშემორტყმული ვიყავით და მეტად საშიშარ მდგომარეობაში ამოვყავით თავი, რადგან დაგებულს მახეში გავებით. იაპონელებმა სროლა აგვიტეხეს. ჩვენ ნაბიჯის წადგმაც აღარ შეგვეძლო. სწრაფად ჩავუშვით ზღვაში ორი ნავი და 600 ზღვაოსანი გადავსხით. იაპონიის კრეისერებმა და კონტრ-ნაღმოსნებმა გვიშველეს და გადაგვარჩინეს. მე და შტურმან აფიცერმა გემთან ერთად გადავსწყვიტეთ დაღუპვა და ზედ დავრჩით, სანამ კრეისერი დაიძირა ტალღამ ჩაგვაყურყუმელა და გონება დავკარგეთ. კარგა ხანს გვაყურყუმელავა ზღვამ, სანამ იაპონიის მეთევზეებმა არ გამოგვიყვანეს. იაპონელთა ნატყორცნი ყუმბარები საოცარის სინამდვილით ხვდებოდნენ მიზანს.

პეტერბურგი. საზღვაო შტაბის მიერ 19 მაის მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ კრეისერ „ურალ"-ზე გადაურჩენიათ პირველი რანგის კაპიტანი გემის უფროსი ისტომინი, მეორე რანგის კაპიტანი თავადი შირინსკი—შახმატოვი გორპუსის პოლკოვნიკი ინჟინერ-მეხანიკი სპერანსკი, ლეიტენანტები: სერგეი ევდოკიმოვი და კონსტანტინე ჩეგლოკოვი, პრაპორშჩიკები ოსკარ ტიდემანი და ლაზარე ხაჩიკოვი და სამანქანო განყოფილების პრაპორჩიკი რემონტოვი.

ვაშინგტონი, 20 მაისი. ტოკიოს ცნობებით, იაპონელთა ზარალი ჯავშნოსნებსა და კრეისერებზე სულ 113 აფიცერი და ზღვაოსანი მოკლულია, 424 აფიცერი და ზღვაოსანი დაჭრილი. დაჭრილთა შორის კრეისერ „აძუმას" უფროსიც არის. ნაღმოსნებზე მოკლულ და დაჭრილთა რიცხვი 87 არ აღემატება.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა მისს იმპერატორებითი უდიდებულესობის სახელზე 18 მაისის თარიღით: „16 მაისს იაპონელები ცდილობდნენ დაეჭირათ მდინარე ცინხეს ველი, ფეიშულინის უღელტეხილი ისევ ჩვენ ხელში დარჩა. იხჩენის მიდამოებში, ხერსადან სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 ვერსის მანძილზე, 16 მაისს აღმოვაჩინეთ ხუნხუზთა ბრბო. გაგზავნილმა ერთმა რაზმა ბრბო, გაჰფანტა, ზოგიც ამოხოცა.

ლონდონი, 19 მაისი. (რეიტ.) იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა: 18 მაისს ტოგოს მიუღია კრეისერ „კასსუგა"-ს უფროსისაგან ცნობა, რომ გუშინ საღამოს „დიმიტრი დონსკოი" რომ მომყავდა, კინგსტონები და სახურავები (კლაპანები) აეხადნათ გემისთვის და 16 მაისს დილით ჩაძირაო. მთელი ჩემი ეკიპაჟი და „ბუინია"-ს, „ოსლაბლიას" მეზღვაურნი კუნძულ ურლუნგზე გადავსხი. როგორც სჩანს „ბუინიზე" 14 მაისს გადმოიყვანეს როჟესტვენსკი მთელის ამალით და ჩაძირულ „ოსლაბლიას" მეზღვაურთაგან 200 კაცი. შემდეგ როჟესტვენსკი ამალით გადაყვანილ იქმნა ნაღმოსან „ბედოვი"-ზე. „ბუინიმ" ჩრდილოეთით აიღო გეზი, „დიმიტრი დონსკოის" შეხვდა და მთელი თავისი ეკიპაჟი (მეზღვაურნი) იმაზე გადაიყვანა. „ბუინი" ამის მერე ჩაიძირა. პირველად ყუმბარა „ოსლაბლიას" კაპიტანის ბაქანს მოხვდა- კაპიტანი ფელკერზამი იქვე გააქრო. ნაშუადღევს 3 საათზე „ოსლაბლია" ზღვამ შთანთქა. „დიმიტრი დონსკოის" ცნობით 14 მაისს ორი ნაღმოსანი დაიღუპა. თუ ეს მართალია, მაშ სულ ხუთი ნაღმოსანი დაღუპვია რუსების. ეტყობა, რომ როჟესტვენსკი მძიმედ არ არის დაჭრილი. მაჯის ცემა ნორმალური აქვს, ტვინის ანთების ნიშნები არ ეტყობა.

ტოკიო, 19 მაისი (რეიტერი). რადგან საჭიროდ აღარ მიაჩნია ზარალის დამალვა, იაპონიის ზღვათა სამინისტრო აცხადებს: წარსულ წელს 2 მაისს ნაღმისაგან დაიღუპა ჯავშნოსანი „იაშიმა", 17 მაისს კონტრ-ნაღმოსანი „აკატცუკი" და „იაშიმა" კონტრ-ნაღმოსანი „ხაიატორი"—ნაღმით აფეთქებული 20 აგვისტოს, საკანონიერო „ატაგო", რომელიც კლდეს წააწყდა და ჩაიძირა 24 სექტემბერს, კრეისერი „ტაკასაგო", ნაღმით აფეთქებული 30 ნოემბერს. ყველა ეს გემები პორტ-არტურთან დაიღუპა.

ნაგასაკი, 19 მაისი (რეტერი). 3,800 ტყვე მეზღვაური ნაპირზე გადმოსხეს, რუსეთის სამი დაზიანებული გემი ნაგოტაში მიიტანეს.

ტოკიო, 19 მაისი. (რეიტერი). როგორც ანგარიში გვიჩვენებს, ზღვაზე ბრძოლის დროს რუსებმა 7,000—9,000 ზღვაოსანი დაჰკარგეს.

ეჰეი აქეთ, ყველანი დაიხოცნენო. მახლობელ კუნძულებსა და კიდეებზე ბევრი გვამი გამორიყა. „ორიოლ"-ის კაპიტანი მაიცურუს გზაზე გარდაიცვალა. დაჭრილი იაპონელები ამბობენ, რომ პირველად „კნიაზ სუვოროვმა" გააჩინა ცეცხლი, ის რუსეთის გემებს სათავეში ედგა. თითქმის იმავე დროს საპასუხო ყუმბარა სტყორცნა „მარკიზ"-მა. ამას შემდეგ დაიწყო ყუმბარის ფრქვევა. მოწინააღმდეგენი უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. „უშაკოვის" ბაქანზე ცეცხლი გაჩნდა. ჯავშნოსანი საომარ ფარგას გეზს უქცევდა.

ხუთის ნახევარზე რუსეთის რაზმთაწყობა სრულებით აირია, საომარი ცეცხლი განელდა, გაიკმინდა. „ბოროდინო" და „კამჩატკა", რომლებიც მამაცურად აფრქვევდნენ ცეცხლს, ზღვის უფსკრულმა ჩანთქა. 15 მაისს რუსეთის ხუთი გემი გამოჩნდა ლიანკურტის მახლობლად. „იზუმრუდი" ფეხ-მარდად გაემართა და თავს უშველა, დანარჩენები დაჩნდნენ. მეტად გაუძალიანდა „დიმიტრი დონსკოი", რომელსაც „აზამა" დაედევნა. კრეისერი გასხლტომას ცდილობდა, მტერი დაედევნა და ბინდამდის არ მოასვენა. 16 მაის შევიტყეთ, რომ „დიმიტრი დონსკოი" ზღვამ გარიყაო.

ბრძოლის დაწყებისას ტოგომ ანიშნა თავის ესკადრას: „ვეჟვეობ,—სამშობლოს ბედს დღევანდელი ბრძოლა გადასწყვეტავს. ვიმედოვნებ—ყველა თქვენთაგანი თავის მოვალეობას ბოლომდე მიიყვანს". ბრძოლის დროს რუსები გაქცევას ჰლამობდნენ, მაგრამ იაპონიის ნაღმოსნებმა ალყა შემოარტყეს და გზა მოუჭრეს. ღამე პროჟექტორებით ანათებდნენ რუსები მიდამოს, რომ გაერჩიათ საიდან იყო მოსალოდნელი მტერი. ამ სინათლით მარჯვედ სარგებლობდნენ იაპონელები და მედგარი იერიში მიჰქონდათ.

ნაგასაკი, 19 მაისი. იამაგუჩის მახლობლად გემმა 52 რუსი მეზღვაური მოიყვანა, ამათში 10 დაჭრილია. ჰფიქრობენ, აქ ახლო-მახლო ჩაძირულ გემიდან იქმნებიანო.

ტოკიო, 20 მაისი. ჯავშნოსან „ორიოლ"-ს იაპონელები ოკოსუგაში მიიყვანენ, სადაც იმპერატორი მას დაათვალიერებს. ამბობენ, ბრძოლის დაწყებისათანავე „ორიოლ"-ზე აღმოჩნდა 300 მოკლული და დაჭრილიო. მთელი დღე, საღამომდის ის თავგამეტებით იბრძოდა. გემს ამჩნევია მოხვედრილი ყუმბარები, ზარბაზნები ერთიანად გაფუჭებულია.

სტამბოლი, 19 მაისი. რუსების დამარცხებამ ოსმალოს მაღალ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ოსმალოს გაზეთებს კი მაინც აკრძალული აქვთ ამ შემთხვევაზე რამე სწერონ.

ტოკიო, 20 მაისი („ლოკალ-ანცეიგერი"). როჟესტვენსკის ესკადრა კარგ წესრიგზე ვერ იყო მოწყობილიო. რადგანაც კრეისერები მარცხენა კოლონაში იდგნენ და მტრის ზარბაზნები მარტო მათ ხვდებოდათ. ჯავშნოსნები მარჯვენა კოლონაში იდგნენ და ნაკლებად დაზარალდნენ, მაგრამ არც არაფერი გაუკეთებიათო. იაპონელები წყალქვეშ მავალ ნავებით კარგად სარგებლობდნენ.

პარიზი, 20 მაისი („ლოკალ-ანცეიგერი"). აქ ჰფიქრობენ, იაპონიის ელჩმა ბერლინში გაიაშმ შესთავაზა თავის მთავრობას, დროებით ზავი ჩამოაგდეთ, თუ ვლადივოსტოკის შესახებ ზოგიერთ საკითხებზე შეთანხმდებითო. ბერლინში ზავზე ძალიან თავდაჭერით ლაპარაკობენ, თუმცა იმასაც ამბობენ, რუსეთის მხრივ გაჯიუტებას საფუძველი არა აქვსო.

ტოკიო. კრეისერ „ჟემჩუგის" დაღუპვის შესახებ ხმა გამართლდა.

პეტერბურგი, 20 მაისი. მთავარ საზღვაო შტაბის მიღებულ ცნობებით, კრეისერ „ურალ"-ზე გადაურჩენიათ: გემის უფროსი, მეორე რანგის კაპიტანი ისტომინი, მეორე რანგის კაპიტანი თავ. შირინსკი-შახმატოვი, პოდკოვნიკი სპერანსკი, ლეიტენანტები სერგეი ევდოკიმოვი და კონსტანტინე ჩოგლოკოვი, პრაპორჩიკი ოსკარ ტიდემანი, ლაზარე შაჩიკოვი და რემეზოვი.

(ღამის დეპეშა იხილე მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდგან

საზღვაო ბრძოლა. 15 მაისს, ე. ი. იმ დღეს, როცა როჟესტვენსკის ფლოტი აღარ ჰყავდა, „ნოვოე ვრემია" სწერდა: ადმირალმა ტოგომ როჟესტვენსკისა და ნებოგატოვის ესკადრებს შეერთების ნება მისცა; იქვე, ცუსიმას მახლობლად, ნახშირის დატვირთვაც არ დაუშალა და საზოგადოდ ისე იქცევა, თითქო იაპონიის ფლოტი არ არსებობსო. არ ვიცით, იქნება ტოგო რადაც ხაფანგს უმზადებს ადმირალ როჟესტვენსკის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ტოგოს უმოქმედობით როჟესტვენსკიმ ძალიან ისარგებლა (ნ. ვ.).

მიზეზი როჟესტვენსკის დამარცხებისა. ტოკიოდან იუწყებიან, როჟესტვენსკის ფლოტის განადგურების ერთი მიზეზთაგანი თვითონ ადმირალი როჟესტვენსკიაო. როჟესტვენსკიმ ისე დააყენა გემები, რომ მათ არა თუ მოძრაობა, ზარბაზნების სროლაც-კი უჭირდათ. როჟესტვენსკიმ თავისი ესკადრა სამ ნაწილად, სამ კოლონად დარაზმა და ცუსიმას სრუტეში ისე შევიდა. მარჯვნივ, იაპონიისკენ ჯავშნოსნები იდგნენ, მარცხნივ, კორეისკენ—კრეისერები, შუაში კი—ძველი და ნელა მავალი გემები. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ადმირალი ტოგო უმთავრეს იერიშ კორეის მხრიდან მოიტანდა და პირდაპირ სუსტ კრეისერებს დაეცემოდა. მართლაც ასე მოხდა: ადმირალ ტოგოს ესკადრა მარცხნივ გამოჩნდა. ტოგომ თავის ესკადრა სამ ნაწილად გაჰყო. ერთი ესკადრა რუსებს მარცხნივ ამოუდგა, მეორე—უკან, მესამე რუსებს წინ გაუძღვა. ბრძოლის დროს რუსების ჯავშნოსნებს ვერაფერი გაუკეთებიათ, რადგან ჯავშნოსნებსა და იაპონიის ესკადრის შუა რუსებისავე კრეისერები იდგნენ. მერე, როცა რუსები აირივნენ და მარჯვნივ დაიწყეს წევა, ტოგოს მეოთხე ესკადრა, რომელიც იაპონიის ნაპირებთან იდგა, რუსებს მარჯვნივ ამოუდგა და ამ რიგად რუსები ყოველ მხრივ მოემწყვდნენ (რ.).

ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის ზარალი. გუშინ ვწერდით, როჟესტვენსკის ესკადრიდან მხოლოდ პაწაწა კრეისერი „ალმაზი" და ერთი ნაღმოსანი გადარჩენო. ერთი დიდი კრეისერი „ოლეგი", რომელზედაც ადმირალი ნებოგატოვი იყო, და ორი ნაღმოსანი დაიკარგნენო. ამის შესახებ ტოკიოდან იუწყებიან, ეს ორი ნაღმოსანიც ჩაიძირნენ, „ოლეგი" კი სადღაც დაიკარგაო. ამრიგად საბოლოოდ გამოირკვა, რომ 30 მებრძოლ გემიდან დაიღუპა და დატყვევებულ იქმნა 28, მათ შორის: ყველა ჯავშნოსანი (11 იყო), 9 კრეისერი (სულ 10 იყო) და 8 ნაღმოსანი (სულ 9 იყო).

როჟესტვენსკის ესკადრაში ირიცხებოდა 12,000 კაცი. აქედან 5,000 იაპონელებმა დაატყვევეს, 7,000 ზღვაში დაიღუპა.

ზემოხსენებულ გემების გარდა, იაპონელებს 18 თუ 19 მაისს დაუღუპავთ კიდევ ერთი თუ ორი რუსეთის სატრანსპორტო გემი, რომელნიც როჟესტვენსკის დამარცხების შემდეგ ჩინეთის ზღვაში დაძრწოდნენ. გარდა ამისა, სამი დაზიანებული გემი ნაგოტაში გამორიყულა. ესენიც, რასაკვირველია, იაპონელებს ჩაუვარდნენ ხელში.

ადმ. ტოგოსი და როჟესტვენსკის ესკადრები. „ნოვოე ვრემია"-ს სამხედრო მიმომხილველი დაწვრილებით ანგარიშობს ტოგოსი და როჟესტვენსკის ესკადრების ძალას და ბოლოს საერთო ჯამიც გამოჰყავს. ამ ჯამიდან სჩანს, რომ ადმირალ ტოგოს ესკადრის (ნაღმოსნებისა და საკანონიერო გემების გარდა) საერთო წყალ-წყვა უდრის 208,249 ტონნას. როჟესტვენსკის ესკადრის წყალ-წყვა კი—201,500 ტონნას. მაგრამ ახლა გამოირკვა, რომ ჯავშნოსანი „იაშიმა" და კრეისერი „ტაგასაკო" შარშანვე დაღუპულან, სამხედრო მიმომხილველს კი ეს ორი გემიც ჩაუგდია ანგარიშში. ტოგოს ესკადრის საერთო წყალ წყვას ამ გემების წყალ-წყვა (16,817 ტონნა) რომ გამოვაკლოთ, გამოვა, რომ ადმირალ ტოგოს ესკადრის საერთო წყალ-წყვა ყოფილა 191,432 ტონნა და არა 208,249 ტ., ე. ი. 10,068 ტ. ნაკლები, ვიდრე როჟესტვენსკის ესკადრა. აქედან ცხადად სჩანს, რომ ადმ. ტოგოს ესკადრა როჟესტვენსკის ესკადრაზე სუსტიც იყო, თორემ ძლიერი არ ყოფილა. ეგაა—ტოგოს როჟესტვენსკიზე ნაღმოსნები ჰყავნდა მეტი (ნ.).

ადმ. ფელკერზამი. აქამდის ვერ გამოირკვა, თავისით მოკვდა ადმ. ფელკერზამი თუ ბრძოლაში მოკლეს. რუსეთის საზღვაო შტაბი აცხადებს, თავისით მოკვდაო, იაპონელები ამბობდნენ, ბრძოლაში მოვკალითო. ფელკერზამის გემის „ოსლიაბიას" ტყვე მეზღვაურებს პირდაპირ უთქვამთ იაპონიაში, 15 მაისს, შუადღის 2 საათზე, „ოსლიაბიას" დიდი ყუმბარა მოხვდა, კაპიტანის რუბკა მილეწა და ადმირალი ფელკერზამიც მოკლაო. 3 საათზე გემი ჩაძირულა (ნ.).

როჟესტვენსკის ესკადრის პირველ ხარისხოვანი ჯავშნოსნები. როჟესტვენსკის 4 საუკეთესო, პირველ ხარისხოვანი ჯავშნოსანი ჰყავდა: „ორიოლი" (დატყვევდა), „სუვოროვი", „ალექსანდრ III" და „ბოროდინო" (დაიღუპნენ). ოთხივე ჯავშნოსანი ერთ ყალიბზე იყო გაკეთებული, 1901 და 1902 წელს აშენებული. თითო გემს სიგძე 56 საჟენს უდრიდა, სიგანე—11 საჟენს,

ფელეტონი

ხალხური სიმღერა

მოდით, ძმებო, მეგობრებო,
ერთმანეთი გადავკოცნოთ
და ერთობის ძლიერი ხმა
ხმელეთს მოვდოთ, ცას შევტყორცნოთ!..

—

ფიცი მივცეთ ერთმანეთსა,
ავსდგეთ, წელში გავიმართოთ!
საკუთარი საქმეები
ჩვენ განვაგოთ, ჩვენვე ვმართოთ!..

—

ხედავთ, ძმებო, არვინ ისმენს
ჩვენს მუდარას და ჩვენს აჯას,
მარა ძალუძს თავისი ქნას
ჩვენს კურთხეულ მშრომელ მაჯას...

—

სიფოლადე, სიკისკასე
გვმართებს, ძმებო, ერთი ორად:
ძალა უნდა გავიტანოთ
შეერთებით, თანასწორად!..

—

ვინც ჩამოგვრჩეს, არ გამოგვყვეს,—
იმას ზიზღი სამუდამო!
გველ-ბაყაყით ამოვუვსოთ
მას საფლავის კარმიდამო!..

—

ვინც გატეხოს ძმობა, ფიცი
და არ გაგვყვეს თან მებრძოლად,
აგაზაკად ჩაითვალოს
და შეერთოს დედა ცოლად!..

—

და ვინც ფიქრობს ისარგებლოს
მითი, რაც სხვამ მოამზადა—
ერთობის წინ თრთოდეს მარად
ის ფლიდი და არამზადა!..

—

მტერს ვებრძოლოთ!—კმარა, რაც მან
თვის ჭკუაზე გვათამაშა!..
გაუმარჯოს ერის ძალას!
და ერთობას ვაშა! ვაშა!..

დ. თომაშვილი.

ოჩოპინტრე.

—

მე და ოჩოპინტრემ ერთმანეთი გავიცანით ღვინის სარდაფში. გაცნობა მაინცა-და-მაინც დიდის ცერემონიით არ მომხდარა.

როდესაც ჩავეშვი სარდაფის ხუთ საფეხურიან კიბეზე, უპირველესად არღნის ხმა და ტაში მომესმა. სარდაფს პაპიროზისა და მწვადის კვამლი აბნელებდა. ორი-სამი წუთის შემდეგ ყველაფერი გავარჩიე. დახლიდარი ვასუა სველის ხელადით იდგა მაგიდასთან, მეორე ხელში ეჭირა თეფში ხუთის სტაქნით, მაგიდას გარს შემოსხდომოდნენ ოთხი კარგად შეზარხოშებული მოქეიფე—ხშირი სტუმრები ამ სარდაფისა.

ესენი იყვნენ: მეხაშე ვანუა, თავისი განუშორებელი ჩიბუხით კბილებში, შუშების ჩამსხმელი, რომელსაც მეტ სახელად „გრაფს" ეძახდნენ, ჩილინდარი სისო და დურგალი პეპო. მეორე კედელთან, დაბალს ფანჯარაზე ვიღასაც კისერი გადაედო სკამიდან და ამ აურზაურში ტკბილად ეძინა. მის გვერდით მეარღნე ატრიალებდა არღანს. შუა სარდაფში კი ვიღაცა ცეკვავდა. მას ტანზე ძველი, დაგლეჯილი ჩოხა ეცვა, ქვეშიდან მოუჩანდა ძველივე ჭუჭყიანი პერანგი. თავზე აქა-იქ ამოხვრეტილი თუშური ქუდი ეხურა. დახეულ ჩუსტებიდან ფეხებს თითები გამოეყოთ. ის ტანდაბალი, შავგრემანი და მოგრძო სახისა იყო. ორივე ხელებ წინ გაწვდილი ერთი კედლიდან მეორისკენ გარბოდა, ჩაბუქნავდა იქ და გამორბოდა უკანვე, ხანდისხან ჩერდებოდა შუა სარდაფში და წელში მოხრილი ოთხსავ კუთხივ სალამს იძლეოდა. მისი თვალები ელავდნენ, იცინოდნენ რაღაც შეშლილის და გადამეტებულის სიხარულით. მაყურებლებს, როგორც ეტყობოდათ, ძალიან ართობდა ეს ორიგინალური ცეკვა. მეხაშე ვანუას კბილებში დავიწყებოდა ჩიბუხი და მისი თამაშობით გატაცებული, თვითონაც აყოლებდა ცალფეხს. დანარჩენნი ერთგულად უკრავდნენ ტაშს, იცინოდნენ, აქეზებდნენ მოცეკვავეს. თუთუნისა და მწვადის კვამლი კი ზლაზვნა-გრეხით მიდიოდა კარებისაკენ.

ჩემმა მისვლამ შესწყვიტა ხმაურობა. სალამ-ქალამის შემდეგ მივუჯექ მაგიდას და შევუერთდი მოქეიფეებს. მოთამაშე სარდაფის შუა ადგილას გაჩერდა, დაღლილიყო, მძიმეთა ქშინავდა, შუბლზე ოფლის ცვარები ასხდნენ; მისი მოელვარე თვალები შემომჩერებოდნენ, თითქო რაღასაც მეკითხებოდნენ.

— ვერ იცნობ?—შემეკითხა ჩილინდარი სისო, როდესაც მან ღვინით სავსე ჭიქა მომაწოდა.

— არ შემხვედრია,—მივუგე მე.

მოცეკვავეს გაეღიმა.

მეხაშე ვანუამ მას ჩიბუხი დაუქნია, ის მოუახლოვდა მაგიდას და გაჩერდა, თვალები უცინოდა, ტუჩები უთრთოდა,

მე ხელი გავუწოდე, ის წელში მოიხარა და მომაწოდა ჭუჭყით ძალზე გაშავებული ხელი. ეტყობოდა, მის პატრონს წყალი ხშირად არ აგონდებოდა.

— ჩვენი ოჩოპინტრე!—გამაცნო სისომ.

მას ახლა უფრო მეტი სიამოვნება დაეტყო, ლოყები გადაეკეცა, თეთრი კბილები ტუჩების გარედ გადმოვიდნენ და თვით ტუჩები კი ღრძილებს ამოეფარნენ.

— აბა ერთიც!—მიაწოდა ამ დროს ქიქა პეპომ. მან უცებ გადაჰკრა ღვინო, შემდეგ ჭიქა დადგა, გაშალა ხელები და შეტრიალდა,—ისევ ცეკვა დაიწყო.

არღანმა ხმა ააყოლა, კამპანიამ—ტაში. ის კი იგრიხებოდა, ხტოდა თან ჩვენ გვიყურებდა და იცინოდა...

სრულებით გადამავიწყდებოდა მე ოჩოპინტრე, რადგან ბევრი შემხვედრია სარდაფებში, რომელნიც ამგვარ მასხარობით ირჩენენ თავს, მაგრამ მე და ის მოულოდნელად, რამდენიმე ხნის შემდეგ, კვლავ შევხვდით სულ სხვა ადგილს.

ჩვენ ეხლა სარდაფში კი არ ვიყავით, არამედ პატარა, მიყრუებულ ოთახში, წითელ სუფრა გადაფარებულ მაგიდასთან, რომელზედაც ეწყო რაღაც დიდი დავთრები და ქაღალდები. როდესაც ოთახში შემიყვანეს, იქ დამხვდა. ოჩოპინტრემ შემომხედა თუ არა, გაიცინა თავისებურის სიცილით. მე ძლიერ გამიკვირდა იმის აქ შეხვედრა, მაგრამ თავი შევიკავე, ხმა არ გავეცი, მე მინდოდა მას არ ვეცნე, მაგრამ, როგორც სახეზე შევატყე, ეს მას, ცოტა არ იყოს, ეწყინა. მიუხედავათ ამისა, მან მაინც ღიმილით გამომიშვირა ხელი, რომელიც მე უკან ვეღარ გავაბრუნე, რადგან ის პირდაპირ წამოსწვდა ჩემს ხელს, რომელიც მე პინჯაკის ჯიბეში მედვა.

— ააა, ამასაც იცნობთ, ყმაწვილო?!—მნიშვნელოვანის კილოთი შეეკითხა ჟანდარმის ოფიცერი, რომელიც იჯდა სკამზე და რაღასაც სწერდა.

ოჩოპინტრეს უფრო მეტი სიამოვნება დაეტყო სახეზე, მას ესიამოვნა ჩემი ხელი, ჩემი შეხვედრა.

ოფიცერი ორივეს სახის გამომეტყველებას აკვირდებოდა. მას ჩვენ ძველი მეგობრები ვეგონეთ, მეგობრები, რომელნიც „სხვადასხვა მიზეზით" აქ, მის წინ, მალავდენ თვის მეგობრობას.

— ეი...ი...ი...ი...ცნოფ!

ძლივს წარმოსთქვა ოჩოპინტრემ. მეტისმეტად ენა ბრგვილი იყო.

— თქვენ, ბატონო ჩემო, ვერ მომატყუებთ ვერც თქვენის განგებ ენა ბრგვილობით, ვერც განგებ თავის გასულელებით. ვიცნობ თქვენისთანა პირებსაც, გიცნობთ თქვენც, ვინცა ბრძანდებით. ტყუილად ჩემულობთ რუსულის უცოდინრობასაც. რას აწვალებთ თარჯიმანს?—მუქარის კილოთი შეუბღვირა ოფიცერმა.

ოჩოპინტრეს, ეცნეოდა, რომ არ ესმოდა რას ეუბნებოდნენ, ან რა უნდოდათ მისგან.

— თქვენი საქმე არ არი!—მამიგო მკაცრად იმავე ოფიცერმა, როდესაც მე მოვინდომე ოჩოპინტრეს გამოსარჩლება, და გამაჩუმა. თვითონ ისევ წერას შეუდგა, ალბად სწერდა ამ ახალ აღმოჩენას: მე და ოჩოპინტრეს ნაცნობობას.

ოჩოპინტრე კი ისევ მე მიყურებდა ნეტარის ღიმილით, ეჭვი არ არის მას იმ დროს აგონდებოდა ჩვენი ახალი გაცნობის წუთები: არღანი, ცეკვა, ღვინო...

პატარახანს უკან ოფიცერმა ზარი დარეკა, ოთახში შემოვიდა ორი ჟანდარმი, ერთიც ჩემს ზურგს უკან იყო გაჩერებული.

— გაიყვანეთ!—უბრძანა მან შემოსულებს.

— მობრძანდით!—ცოტა არ იყოს მოწიწებით მიმართეს ოჩოპინტრეს ჟანდარმებმა.

მე არ ვიცოდი, რისთვის მიმეწერა ამ შეშმიში კაცის წინ მათი თავაზიანი კილო, ამას მე მხოლოდ შემდეგ მივხვდი...

ოჩოპინტრე არ ინძრეოდა, ერთმა ჟანდარმმა ფრთხილად გაავლო მას წელში ხელი.

ოჩოპინტრე მიხვდა, რომ გარედ უნდა გასულიყო. ის უცებ წასწვდა მაგიდაზე ერთად დაწყობილს პატარა ტარმოტეხილს ჟანგიან დანას, რაღაც ძონძებს და ქაღალდზე გადახვეულ ძაფს.

ჟანდარმმა ხელი დაუჭირა. მას მიეშველა მეორეც. ოჩოპინტრე გააკავეს.

— რას შვრებით! ესენი აქ დარჩება! გაჰყევით მაგათ!—შეუყვირა ოფიცერმა და ანიშნა ჟანდარმებს თითით კარებისაკენ. ნივთები კი თავისკენ გააცურა.

ოჩოპინტრემ საზარლად შეღმუვლა და თვალები მიაშტერა ძონძებს, მაგრამ ჟანდარმებმა ის ძალად გაიყვანეს გარედ.

— დიდი არტისტი იქნება!—ჩაილაპარაკა ოფიცერმა თავისთვის.

— მო... მმმე... ცით!—შემომესმა გარედან მოტირალის ოჩოპინტრეს ხმა.

ამას შემდეგ მე აღარ მინახავს ის, რადგან ძალაუნებურად ქალაქისთვის თავი უნდა დამენებებინა; მხოლოდ შემდეგ, როდესაც აქავე დავბრუნდი, აი რა მიამბო ჩილინდარმა სისომ მის შესახებ: „ოჩოპინტრე (ნამდვილი სახელი—მიხა) კახეთის ერთი სოფლიდან ჩამოვიდა ქალაქ №-ში. ტანით სუსტს, შეშმიშს და, თითქმის, მუნჯს, არავითარი შრომა არ შეეძლო. ის ქუჩაში მაინც არა თხოულობდა, დადიოდა მხოლოდ ღვინის სარდაფებში, სადაც მთვრალი ხალხი ამასხარებდა და ათრობდა. ღამე ან ქუჩაში ეძინა, ან რომელსამე ეზოს კუნჭულში, ხშირად კი რკინის გზის სადგურზე, გარედ. ხანდისხან თურმე საქონლის მატარებელშიაც იძინებდა. ერთხელ თავი ამოყო მძინარემ მეორე სადგურზე, საიდანაც საწყალი ფეხით ჩამოვიდა. ასე მიდიოდა მისი ცხოვრება იმდრომდე, ვიდრე მას, ერთს ღამეს, ხელი არა სტაცა პოლიციამ, როდესაც ის სადგურზე ჩვეულებისამებრ ეძებდა ღამის გასათევს. ამ დროს ქალაქში მუშების გაფიცვა იყო... ამგვარად, ოჩოპინტრემ თავი ჟანდარმების ხელში ამოჰყო, სადაც ის ჯაშუშის ჩვენებით იცნეს, როგორც ციმბირიდან გამოქცეული „მოხერხებული პოლიტიკური დამნაშავე". მის საუბედუროდ, მისი სახის ზოგიერთი განსაკუთრებული ნიშნები აღმოაჩნდა თურმე ნამდვილი დამნაშავის სურათს. ასე იყო თუ ისე, ოჩოპინტრე გახდა: „მოუსვენარ, საშიში და საფრთხილო პოლიტიკურ დამნაშავედ". მას პასპორტიც არა ჰქონდა, რადგან, ფოსტის ფულის გადაუხდელობისა გამო, მამასახლისი არ უგზავნიდა. ოჩოპინტრემ დიდხანს დაჰყო აქ, ციხეში, მერე კი გაისტუმრეს „ისევ იქით", საიდამაც ვითომც ის გამოიქცა.

შესაძლებელია ვერაფერი ვერ გაგვეგო ჩვენ ამ უბედურის შესახებ, რომ ერთს შემთხვევას არ აღმოეჩინა ყველაფერი. სწორე გითხრა, ჩვენ ის ან სოფელში წასული გვეგონა, ან ქალაქის რომელსამე სხვა კუთხეში, მაგრამ, როგორც ახლა შენც გაიგე, სულ სხვა აღმოჩნდა.

ამ შემოდგომაზე აქ ჩამოვიდნენ მისი სოფლის ნაცვალი და „სბორჩიკი". მათ იცოდნენ, რომ ის ხშირად დადიოდა ამ სარდაფში, მოიკითხეს, მაგრამ ვერა გაიგეს-რა, ბოლოს მიმართეს პოლიციას და ის გამოაცხადეს, როგორც სოფლიდან დაკარგული კაცი. მაგრამ, როდესაც მისი სახე დაწვრილებით აუწერეს პოლიციას, როდესაც აუწერეს ნიშნობლივ, რაც-კი მას გარეგნობის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენდა, გაიგეს, რომ ეს ის „დიდი პოლიტიკური დამნაშავე" იყო, რომელიც სადგურზე ვაგონში დაიჭირეს და გაგზავნეს ციმბირისაკენ: ე. ი. ჩვენი საწყალი ოჩოპინტრე.

მოიკითხეს, მიიწერ-მოიწერეს, მაგრამ გვიან-ღა იყო. ის მომკვდარიყო ქალაქ სარატოვის ციხეში. ღმერთმა აცხონოს!" დაათავა სისომ და რამდენიმე „ცხელ-ცხელი" გაგზავნა ვიღასაც ადრესზე.

ახლაც ხშირად გაიგონებთ ამ ღვინის სარდაფებში, რომელთათვისაც ის შეადგენდა გასართობს, ოჩოპინტრეს შესანდობარს.

ასე მწარედ დასცინა ბუნებისაგან დაჩაგრულ ადამიანს ადამიანმაც!

ი. ევდოშვილი.

„ბუნების ბატონი".

(ერთის კაცის დღიურის მეორე ფურცელი)

„ბუნების ბატონი!" ჰა, ჰა, ჰა! რა დიდ-გულობაა, რა დაცინვაა თავისის თავისა, მაგრამ, ხუმრობის გარეშე, ოდესღაც ჩემი თავი ბუნების ბატონი მეგონა.

განა ახირებული კაცი ცოტაა ქვეყანაზე?

—

ერთხელ ზღვის პირად ვიდექ...

ზღვა იცინოდა.

მე კი წარბ-შეკვრით გავყურებდი მის დაუსრულებელ სივრცეს.

ფიქრი ფიქრს გადავაბი, აზრი აზრს ჩავაგრიხე

სიმაღლე—6 საჟენს, წყალწყვა—13, 516 ტონნას (ე. ი. იმ წყალის წონა, რომელიც ჯავშნოსანში ჩაეტეოდა, უდრიდა 837 ათას ფუთს). თითო ჯავშნოსნის მანქანას 16,300 ცხენის ძალა ჰქონდა. ჯავშნოსანზე იყო: 4 ზარბაზანი 12 დუმიანი, 12—6 დუმიანი, 20—4 დუმიანი, 20—3 დუმიანი და 14 პატარა,—სულ 70 (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბაქო, 20 ივნისი. ქუჩაში ერთმა სომეხმა მოჰკლა პოლიციელი. ერთ ადგილას დუქნის უკან ოთახში ყუმბარების გასაკეთებელი ლაბორატორია აღმოაჩინა პოლიციამ. სამი სომეხი დააპატიმრეს, მათთან ერთად ასამდის ყუმბარა.

ახალი ამბავი

◆ 26-ს მაისს, ქ. ტფილისში შესდგება **სტუდენტთა კრება სტუდენტ. სულხანიშვილის საქმის განსახილველად.** ამ საქმისათვის მასალის შესაგროვებლად ამორჩეული კომისია სთხოვს ბბ. **სტუდენტთ:** ბებურიშვილს, ქუთათელაძეს და აგრეთვე ყველას, ვისაც აინტერესებს ეს საქმე, დაესწრონ ამ კრებას.

◆ ს. ახალქალაქში (გორის მაზრა) **კაზაკები ისევ ჩაუყენებიათ.**

◆ განჯის გუბერნატორის თხოვნით, კავკასიის ნამესტნიკმა **გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება მოახდინა, მიეცეს საგანგებო თანხიდან 500** მანათი 18 მაისს ქ. ნუხაში მოკლულ ნუხის მაზრის უფროსის თანაშემწე აბრამოვიჩის ოჯახს და 200 მანათი ცხინვალში დაჭრილ ბოქაულ ამატუნის მოსარჩენად.

◆ ამ დღეებში ტფილისის მაზრის უფროსმა **გუბერნატორს წარუდგინა მოთხოვნილებანი** სოფ. პატარა-ლილოსი, წყნეთისა, ოქროყანისა, ქვემოლისისა, დიდი და პატარა-თონეთისა, ოლგისკისა, დიდებასი, გორანისა, გლდანისა და მჟავისის საზოგადოებათა გლეხებისა. ამასთან მაზრის უფროსი სწერს, გლეხები დროებით დამშვიდდნენ, რადგან მოელიან, რომ კავკასიის ნამესტნიკი ამ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს; თუ ეს საქმე მალე არ გაკეთდა, შეიძლება გლეხთა მოძრაობა უფრო გაძლიერდესო (ც. ფ.).

◆ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამ უბრძანა გუბერნატორებსა და ოლქების უფროსებს, 1 ივნისამდე აცნობონ რამდენი მოხელე და დაწესებულება იწერს ,,გუბერ. ვედომ.''-ს. ამასთან კანცელარია ატყობინებს გუბერნატორებს, რომ მალე **გაზ. ,,კავკაზი'' სხვა პირობებში გამოიცემაო.** (ც. ფ.).

◆ როგორც გვატყობინებენ, **ნუხის მაზრის უფროსის თანაშემწე აბრამოვიჩის მკვლელი შეუპყრიათ.**

◆ როგორც გავიგეთ, **ქუთაისის პოლიცმეისტერი** ბ-ნი კლიმენტიევი გუბერნატორის კანცელიარიის გამგედ დაუნიშნავთ და მის ადგილზე გადაუყვანიათ შორაპნის მაზრის თანაშემწე **ნ. ტატიშვილი,**

◆ უსახელო საზოგადოების **წარმომადგენლებმა განუცხადეს ქალაქის მოურავს,** რომ სამედიატორო სასამართლოში ჩვენი მხრივ ვნიშნავთ ტფილისის ნოტარიუსს ლ. ი. მღებროვს და ნაფიც ვექილის თანაშემწეს ლ. ფ. ვოლკენშტეინისაო. მოსამსახურეთა მხრივ დაინიშნენ ნაფიცი ვექილი ნ. ზ. ელიავა და ფ. ი. მახარაძე. ამ სასამართლოს თავმჯდომარედ ასახელებენ ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვს.

◆ როგორც „კავკაზ“-ს ქუთაისიდან ატყობინებენ, **ადიდებულ რიონს წაულეკნია უზარმაზარი მინდორი,** რომელსაც სოფლებ ნიგოითისა, შუხუთისა, საჯავახოსი, კორეის-უბანისა, გულიკარისა, კოდორისა, ცალიკასისა, ჭალადიდისა, ჩიბათისა და სამარჩანის გლეხებს სიმინდი ჰქონდა დათესილი. წყალს დათესილი მინდვრების ორი მესამედი გაუფუჭებია.

◆ ტფილისის თავად-აზნაურთა **დეპუტატთა საკრებულოში** 5 **ივნის მოხდება კრება** შემდეგი საკითხების განსახილველად: სათავად-აზნაურო ბანკის მოგების განაწილება; თავად-აზნაურთა სამეურნეო თანხიდან სესხის აღება აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და გორისა და თელავის მაზრებში ვაჟთა გიმნაზიის დაარსება.

◆ ეს სამი კვირაა, რაც **ფარსადანოვის ფეხსაცმელების ქარხნის მეჩექმეები გაიფიცნენ.** მუშებმა მექარხნეს თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს და, სხვათა შორის, ხელფასის მომატება სთხოვეს. მექარხნემ მუშათა მოთხოვნილებას ყურადღება არ მიაქცია. ამ ორის კვირის წინად მექარხნე ფარსადანოვმა ტყავის გამომჭრელებს (ზაკროიშჩიკებს) გამოუცხადა—ქარხანას ვაუქმებ და ორი კვირის შემდეგ დათხოვნილ იქმნებითო. ტყავის გამომჭრელებმა ეს წინადადება არ მიიღეს. ფარსადანოვის ქარხანაში თითქმის ოთხმოცი კაცი მუშაობს.

◆ ამიერ კავკასიის **რკინის გზის უფროსს გზათა მინისტრისაგან ებძანა** ახლავე გაგზავნოს ზაბაიკალის რკინის გზაზე სადგურის უფროსის ორი თანაშემწე, ოთხი მეისრე და სამი კონდუქტორი.

◆ ქ. გორის მცხოვრებელმა, ინჟინერმა **გულიშამბაროვმა ქალაქს საჩუქრად შესთავაზა თავისი წიგნთ-საცავი,** რომელიც შეიცავს 2,000—3,000-მდე წიგნს და 1,500 მანათი ფულად, იმ პირობით, რომ ამ წიგნთ-საცავს დაერქვას მისი მამის სახელი და ქალაქის სამმართველომ ცოტაოდენი დახმარება აღმოუჩინოს.

◆ **თიანეთის ორ-კლასიან სასწავლებლის მოწაფენი გაფიცულან** და თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ. მოწაფენი თხოულობენ: ამ სასწავლებლის ოთხკლასიანად გადაკეთებას, სამეურნეო განყოფილების დაარსებას, სამშობლო ენაზე სწავლას და სხვ.

◆ სომეხთა კათალიკოსის კონდაკით დამტკიცებული **კომისია, რომელიც შველოდა ბაქოში დაზარალებულებს,** ერთსა და იმავე დროს შემოწირულებას მიიღებს ნახიჩევანში დაზარალებულთა სასარგებლოდაც.

◆ ბორჩალოს სამაზრო **სამხედრო საკრებულომ 20 მაისს წარმოადგინა ტფილისის საგუბერნიო** სამხედრო საკრებულოში მოკლე ცნობები იმ ყმაწვილ კაცებისა, რომელნიც წელს უნდა გამოცხადდნენ კენჭის ამოსაღებათ. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, წელს ბორჩალოს მაზრაში სულ გამოიწვევენ: 1043 კაცს, მათგან ქართველებს 58, სომეხ-გრიგორიანებს 530, სომეხ-კათოლიკებს 65, ბერძნებს 265, გერმანელებს 29, რუსებს 44, მალაკნებს 45, დუხობორებს 7. აქედან ადგილობრივი მცხოვრები მკვიდრნი 653 და არა ადგილობრივ გადმოსახლებულები 390. გამოწვეულთაგან პირველი ხარისხის შეღავათი აქვს 167, მეორე ხარისხისა 226 და მესამე—88.

◆ როგორც სოფელ კავთისხევიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, 12 მაისს **საშინელი სეტყვა მოუსლა.** ზარალი დიდია თურმე.

◆ ვაჟთა მესამე გიმნაზიაში **სწავლა დაამთავრა სულ 58 მოწაფემ,** მათ შორის ორმა ქართველმა: ილია პავლიაშვილმა, მიხეილ მალალაშვილმა და ბახტაძემ.

◆ ტფილისის პასტერის სახელობის სამკურნალოში გორის მაზრიდან ჩამოიყვანეს სამი ყმაწვილი, ცოფიან ძაღლისაგან დაკბენილი. ერთი მღვ. იროდიონ ოქროპირიძისა და ორიც გლეხის ბიჭი.

◆ ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელი, რომელიც ავლაბრიდან ვერაზე კ. სვიმონოვის სახლში გადმოიტანეს, ისევ ავლაბარში გადააქვთ.

◆ **სად. სუფსა:** 19 მაისს იპოვეს სადგურზე მოკლული გვამი სოფ. დამხოდჯიხის (ოზურგ. მაზრა) მცხოვრების სტეფანე სემონიასი.

◆ **სად. განჯა:** მატარებლის მანევრების დროს ტფილისის კომანდის სათადარიგო ჯარის-კაცი, ზეინკლის თანაშემწე, ალექსი მაზეპოვლი მატარებელ ქვეშ მოჰყვა და გაისრისა.

◆ სადგურ თაუზიდან გვატყობინებენ, 405 ვერსზე, ვიღაც ბოროტ-მოქმედნი თავს დაეცნენ მიმავალ საქონლის მატარებელს, გატეხეს ვაგონი და საქონელი წაიღეს. ქურდები ვერ შეიპყრეს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ათი თუმნით დააჯარიმა ბ-ნი ნ. ლევიცკი, რომელმაც ბარიათინსკის ქუჩაზე რევოლვერი გაისროლა. ლევიცკის იარაღის ტარების ნება არა ჰქონდა.

◆ ტფილისის საგუბერნიო ციხეში ამჟამად 303 კაცია ოპატიმრებული.

◆ ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწის განკარგულებით, სახელმწიფო ფოსტის გაძარცვის გამო, სოფ. გლდანთან შეპყრობილ იქმნენ დაღესტნის ოლქის მცხოვრები ლეკი აბოულ-კანულ-მამუდ—ოღლი და გორის მაზრის მცხოვრები გრიგოლ მელიქიანცი.

სადღეისო

ჭიდაობა

ჭიდაობაა! ჭიდაობაა!!

ორი განთქმული ფალავანი ებრძვის ერთმანეთს...

ერთი მაღალია, სქელი, უზარმაზარი, ჭიდაობაში გამოცდილი, განთქმული,—ყველასათვის საშიში..

ჩასუქებულა!.. ასპარეზზე ზლაზვნით გამოდის, თავის მოპირდაპირეს ზედაც არ უყურებს, თითქო არაფრად აგდებსო... დარწმუნებულია, რომ მის წასაქცევად დიდი შრომა არ დასჭირდება...

მისი მოპირდაპირე კი დაბალი, ჯერ ახალგაზრდა ყმაწვილი, დაკვირვებით უყურებს მის მიხვრა-მოხვრას, თითქო უნდაო ამ დაკვირვებით შეისწავლოს წინდაწინვე მისი საჭიდაო ხრიკები.

მაყურებლები ბლომად შეგროვილან... ყველას უნდა თავის თვალით ნახოს ეს ჭიდაობა...

მართლაც სანახავია...

დიდი ფალავანი დიდი ხნის მოჭიდავეა, რომელთანაც ბრძოლას ვეღარ ბედავდა ვერავინ: ყველა, ვისაც მასთან გაუბედნია ჭიდაობა, წააქცია ადვილად,—ერთი თათარი მოჭიდავე ხშირად შეებმოდა ხოლმე, მაგრამ ყოველთვის დამარცხებული რჩებოდა, ერთი საზღვარ-გარეთიდან ჩამოსული განთქმული მოჭიდავეც დიდი ხნის ჭიდაობის შემდეგ წააქცია... დაღალა ჭიდაობაში...

მისი მოპირდაპირე კი პირველად გამოდიოდა საჭიდაოდ. მოჭიდავეედ არავინ იცნობდა. იცოდნენ მხოლოდ რომ შინ ვარჯიშობდა ბეჯითად, სხვის ჭიდაობას აკვირდებოდა, ღონეს იკრეფდა.

და აი ახლა საჭიდაოდ გამოვიდა და ამ პირველსავე ჭიდაობაში სახელგანთქმული მოჭიდავე გამოიწვია...

ვინ აჯობებს, ნეტავი?

ორივე მოჭიდავე ემზადება... აგერ-აგერ ეცემიან ერთმანეთს... მაგრამ დიდი ისევე თავმომწონედ აქეთ-იქით იყურება, უნდა თავი დაუკრას კიდევ ერთხელ მაყურებლებს...

ამ დროს მივარდა პატარა, მძლავრად ამოჰკრა სარმა და ბუმბერაზი ასპარეზზე გაკორდა...

შეინძრა ხალხი! ვაშას ძახილს საზღვარი არა ჰქონდა...

მაგრამ წაქცეული წამოვარდა... ჰყვირის... „ეს ღალატია! მოპარვით წამაქციაო!..“

დაუკრეს ზურნას! შემოუარეს ასპარეზს... გულ-მოსული ბუმბერაზი აგერ-აგერ დაეტაკება პატარას, უნდა თავის სიმძიმით გასრისოს... მაგრამ ამ დროს ისევე რაღაცა მანქანებით მოუხერხა სარმა პატარამ და ბუმბერაზი ისევე მიწაზე გდია...

არ სცხრება მაინც...

„წელზე სარტყელი არ მქონდა კარგად მომაგრებულიო“..

ხალხი იცინის...

პატარა მოჭიდავე ახლა უფრო გაბედულად ეცემა ბუმბერაზს... ყოველ შეტაკებაზე ბუმბერაზი ეცემა მიწაზე, მაგრამ ყოველთვის დგება ისევ ზეზე და ჰყვირის გამწარებით...

„არ მიჯერია! არა! ახლა ფეხი წამოცდა, არა ვარ წაქცეულიო...

„არა, არ მიჯერია! მზემ შემოაშუქაო...

„რაღაც ფრინველმა გაიფრინაო!

,,ძაღლმა დაიყეფაო...“

ხუთჯერ, ექვსჯერ, ათჯერ წააქცია ახალმა ფალავანმა გათქმული ბუმბერაზ-მოჭიდავე... და ხალხიც ჰყვირის, ტაშს უკრავს, აქებს...

,,შენი მარჯვენა იკურთხოს! გენაცვა!“

გაწითლებული, შერცხვენილი, გაბრაზებული დარბის და არ ტყდება, არ უნდა აღიაროს, რომ გალახულია.

ტანი დაულურჯდა, ხელები დაუსივდა, თავიდან სისხლი წვეთ-წვეთად მოდის და მაინც დაჟინებით იძახის..

,,არა, არა ვარ წაქცეულიო!''

ხალხში სიცილის მაგიერად უკმაყოფილების ხმა გაისმა.

— კმარა! გაათავეთ! წაქცეულია, წაქცეული!

ისინიც კი, ვისაც ეს მოჭიდავე ყოველთვის ფალავანად გამოჰყავდა, ახლა აგინებენ, გაიძახიან:

— წაქცეულია! სირხვილი! არ გვინდა მეტი!

თვით საკუთარი შვილიც-კი, საყვარელი შვილი საყვედურს ეუბნება:

,,ხომ გეუბნებოდი, მამაო! ნუ ლოთობ, აიღე ხელი გარყვნილებაზე!

,,მუდამ სიამოვნებით ატარებდი დროებას, გეგონა შენზე უფრო ძლიერი არავინ აღარ იქნებოდა დედამიწაზე.

,,გეგონა, რომ ვერავინ ვერ გაგიწევდა წინააღმდეგობას...

„და ვერ ამჩნევდი, რომ გარშემო წამოიზარდნენ ახალი ფალავნები, რომ ისინი მუდამ ვარჯიშობდნენ, ემზადებოდნენ შენ დასამარცხებლად...

„ხედავ? ყველა მოიმდურე, ყველა გადაიმტერე... ყველა იძახის ერთხმად: არ გვინდა იგი, არა! გაუმარჯოსო ახალ ძალას, ახალ ფალავანს!“

„შენივე ბრალია, თუ ახლა შინ უნდა წახვიდე შერცხვენილი, დამარცხებული!“

ამ დროს ხალხი გარს ევლებოდა ახალ ფალავანს, ულოცავდა გამარჯვებას და მხიარული, კმაყოფილი იძახდა: **„გამარჯვება! გამარჯვებაა! ვაშა გამარჯვებულსა!“**

ნ. ნ.

პრესსა

„ტფილ. ფურც.“-ის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია ფელეტონი ლ. ყიფიანისა, რომელიც ქართლის თავად-აზნაურთაგან შედგენილ „დრუჟინას“ ანუ მილიციას შეეხება და ამ მილიციის სასიქადულო „მოღვაწეობას“ არკვევს. ავტორი თავის წერილში, სხვათა შორის, შემდეგ ამბავს გადმოგვცემს:

> გორის მაზრაში, ამ დღეებში ერთი შემთხვევა მოხდა, რომელიც ახასიათებს თავად-აზნაურთა მილიციის მოქმედებას. სოფელ ცეროვნისიდან გომისკენ ურმით მიდიოდა ორი ყმაწვილი კაცი, თავ. ციციშვილი და იოს. ბესელიძე. მიდიოდნენ სტუმრად ნაცნობებთან. **მშვიდობიან** დროს ისინი, რასაკვირველია, უხიფათოდ მივიდოდნენ თავის ადგილას, მაგრამ ეხლა, როდესაც გორის მაზრაში **თითქმის ომის** დროის წესებია შემოღებული, ისინი გააჩერეს მოდარაჯე ცხენოსან მილიციონერებმა და, ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, წაიყვანეს უფროსთან.
>
> — აქ ჩვენ მეორედ ჩამოგვართვეს ჩვენება,—გვიამბეს დაჭერილებმა,—გამოგვკითხეს, აგიტატორები ხომ არა ვართ და ჩვენ ხომ არ ვატანდით ძალას გლეხ-კაცებს, რომ ისინი მოკლულ თავ. ლევან ამირაჯიბის დასაფლავებას არ დასწრებოდნენ. ჩვენ უარ-ვყავით ეს ბრალდება და ვსთხოვეთ, გაეენთავისუფლებით, როგორც

და იმდენად გავთამამდი, რომ ზღვას დაცინვაც-კი დავუწყე...

რა არის ზღვა?—წყალთა გროვა, საშო მდინარეთა და სხვა არაფერი!—ვფიქრობდი ჩემთვის—აი, ახლავე გამოჩნდება გემი აფრა გაშლილი, მედიდური, ამაყი: გააპობს ზღვის მკერდს, გადმოლახავს მის ტალღებს, დაჰგმობს მის სიდიადეს და შტვენა-კივილით ამცნობს ქვეყანას თავისს ძლიერებას, ადამიანის მოხერხებას, კაცთა გამჭრიახობას...

ზღვა?! ჰმ... რა არის ზღვა, ადამიანთან შედარებითა—მეთქი.

ზღვა ახმაურდა...

ჩემი ფიქრი უფრო ზვიადი, უფრო კადნიერი შეიქმნა.

გემის მოლოდინში, ავკრიბე ქვები და ხელში ავაბურთავე.

„ასე ათამაშებს—მეთქი—ბუნების ძალთ ხალხის გულისთქმა: როგორც უნდა ისე მოჰმართავს, მოჰხრის ამ ძალებს, თავისს სასარგებლოდ გამოიყენებს. რა შეედრება ადამიანის გონებას? იგი შემომქმედია, იგი თვით ღმერთია! ღიმილით ვიძახდი მე და მედიდურად კენჭს კენჭზე ზღვაში ვისროდი.

ზღვა გამიჯავრდა...

მე გავიცინე.

„იჯავრე, იჯავრე შე, უკეთურო! არც-კი გიხარია, რომ ადამიანი თავს გიკადრებს, კადრულობს შენს ზედა-პირზე ცურვა სიარულს? ადამიანი ზეცაში უნდა დაჰფრინავდეს, იქ ფერიებთან ერთად უნდა მღეროდეს სიყვარულის, თავისუფლების ჰანგებსა, იქ ვარსკვლავებს უნდა ემუსაიფებოდეს, მზე და მთვარეს ჰბრძანებლობდეს. შენ კი აქ...

ზღვამ ქეჩო აიშალა, აბუტბუდტა, პირზე ქაფი მოიგდო...

ცის კიდურზე აფრა გამოჩნდა...

მე გამეხარდა, გული მომეცა, ჩემი სიტყვა მართლდებოდა.

მოჰქროდა გემი. ვით ფასკუნჯი მოაპობდა შავ-ბნელ ტალღებსა. უდიერად, ამაყად. ეს მიჯნურისა მიჯნურისადმი ალერსი არ იყო, ეს ვაჟკაცისა ქალისადმი აშიკობას არ ჰგავდა, ეს ტოლთა შორის შეჯიბრება არ გეგონებოდათ, ეს იყო ერთისაგან მეორის დამონება, ეს იყო ერთის დამარცხება, მეორესი-კი გამარჯვება!

მე ზღვას ნიშნი მოვუგე...

ზღვა აიმრიზა, ღრიალი მორთო, აგორდა მდევივით, მაღლა შესტყორცნა თვისი ტალღები, ზეცას მოჰგლიჯა შავი ღრუბლები და თავ-პირზე შემოიბურა. გმინავდა მედგრად, ოხვრა ქოშინით მიდამო დაიყრუა, ზრიალი დააწყებინა თავისს ნაპირებს, მთასა და ბარსა,—ცას უხმობდა თავის და საშველად...

დასჭექ-დაჭქუხა უკმეხმა ცამაც, პირიდან ცეცხლები გადმოჰყარა, დაიგრგვინა, მოიღუშა, კოკისპირული წვიმა დაუშვა.

ჩამობნელდა. ქვეყნად უკუნეთი გამეფდა.

მე გავშრი, შევშინდი! წყვდიადმა შთამთქა, ზღვის ღრიალმა გამაბრუა, ცის ქექა-ქუხილმა თავ-ზარი დამცა. იქვე, ზღვის პირად, ლოდებ შუა ჩავწექი პირქვე და აკანკალებული მაღლა ახედვას ვეღარა ვბედავდი.

ბუნების ბატონი, მის მონად, ყურ-მოჭრილ მონად გადავიქეცი!

ზღვა ხარხარებდა...

— გემი იღუპება, გეეე-მი! მომესმა გულსაკლავი, ძაღლის ყმუილის მინაგვარი, ხმა ნავთსადგურის ყარაულისა.

ასტყდა განგაში, ხმაურობა, ყრუ, საზარელი ბღუილი. ჩემი სული ხორცს გაეყარა, სიცოცხლე სიმწარედ გადამექცა, ყოფნა—ჯოჯოხეთად, ფიქრი—ძრწოლად.

ზღვა კი ისევ ბღაოდა, ცა—სჭექდა, ხალხი სასოწარკვეთილებით ხაოდა...

— უშველეთ... დაიღუპნენ! ოჰ, უბედურის შვილებო! ზღვა გახდა თქვენი სასაფლაო... ოხ, ოხ!—ქვითინებდნენ ადამიანები და თავში ხელს იცემდნენ.

მეც გავიხედე ზღვისკენ და საზარელი სურათი დავინახე: მთის ოდენა ტალღები მედგრად აწყდებოდა გემის კედლებს და ნაფოტივით ისროდა. გემებზე მყოფნი ერთმანეთს დაბღაუჭებოდნენ, ერთმანეთს ზღვაში გადასროლას უპირებდნენ,—ბღაოდენ, როგორც მხეცები, როგორც ნადირები. გალესილი ხანჯლებივით უვლიდა ეს ხმა ჩემ გულს!..

წუთიც კიდევ და აბობოქრებულმა ზღვამ გემი გადაყლაპა. სამასი და ოთხასი ადამიანი უფსკრულისაკენ გააქანა!

მე კვლავ დავემხე პირქვე და მოვრთე ტირილი...

რა ვიყავ მაშინ? უსუსური, უმწეო მონა ბუნებისა, სტიქიონისა!...

ზღვა კი ისევ ხარხარებდა და იქ, სადაც ჩემი სიამაყე გემი იდგა, მთის ოდენა შავ-ტალღას დაეგორებდა...

—

გავიდა დრო—ზღვის ძლიერება გადამავიწყდა.

—

„ჩვენ ბატონები ვართ ამ მშვენიერის ბუნებისა, მარტო ჩვენ ვსტკბებით ამ დიდებულის სურათებითა-მეთქი—ვუთხარი ერთ საღამოს ჩემ სატრფოს—კატოს—და ჩამავალ მზის სხივებით მოქარგულ ცის კიდურზე მივუთითე.

მაშინ, მე და კატო, ქალაქის განაპირას, ერთ გორაკზე ვისხედით განმარტოებულნი, ხალხის ცნობის-მოყვარე თვალთაგან მოფარებულნი.

ნეტარი და საოცნებო საღამო იყო! მას შემდეგ იმისთანა მშვენიერი საღამო აღარ მინახავს, იმიტომ კი არა, რომ ჩამავალი მზე ძველებურად აღარა ჰფერავდეს ხოლმე ზაფხულის ლეგა ღრუბლებს, ან გაღვიძებული ნიავი ყოველ საღამობით არ დაჰქროდეს ქალაქის მიდამოებში და უმანკო ბავშვივით არ ეტიტინებოდეს მინდვრის ყვავილებს, არა, სანეტარო იყო ეს საღამო იმიტომ რომ, მაშინ ჩემი თავი ბედნიერზე უბედნიერესი მეგონა.

კატოთი მოამაყეს, ჩემი ტოლი და სწორი მეორე არ მეგულებოდა. მისი მფლობელი ცასა და ქვეყანას გავუმკლავდებოდი, მისი მიჯნური თვით ეშმაკს შევებრძოლებოდი!..

მიყვარდა კატო ისე, ვით მასის ვარდს—დილის ნამი და იადონს—წყნარი, კაშკაშა ღამე! ის იყო ჩემი ოცნება, ჩემი ჩანგის სიმები,—მდადე და საფუძველი მთელის ჩემის არსებისა.

მიყვარდა პირველის, გიჟურის სიყვარულით. ორი-სამი წელიწადი ერთად ვცხოვრობდით და მაინც კიდევ ვერ გამოვფხიზლებულვიყავ, ვერ გემეგო, ის იყო ჩემი სულთქმა, ჩემი ჰაერი, თუ უიმისოდაც შემეძლო ცხოვრება, ფიქრი, აზროვნება!..

იმ საღამოთი ხომ სულ მთლად გადარეული ვიყავ...

ამბობენ: გედი რომ სიკვდილის მოახლოვებას იგრძნობს, მოიღერებს ხოლმე მშვენიერ კისერს და სიმღერას შემოსძახებსო. ამ უკანასკნელ სიმღერაში იგი გამოსთქვამს თურმე მთელ თავის ვარამს და უსაყვედურებს შავს სიკვდილს ულმობელობას, დაუნდობლობას.

მეც სწორედ ამ მომაკვდავ გედივით მომივიდა.

მინდოდა ერთხელ კიდევ დავრწმუნებულიყავ „უკვდავი“ იყო თუ არ მე და კატოს სიყვარული, სამუდამოდ ერთმანეთისანი დავრჩებოდით, თუ ჩვენ ურთიერთობასაც ისევ მოეღებოდა ბოლო, როგორც ბოლო ეღება ყოველიფერს მთელ დედა მიწის ზურგზე?

ავ გუნებაზე დავდექ. გული გადამიტრიალდა; კატოს დუმილი, რომელიც ბოლო დროს დასჩემდა და მისი სევდიანი სახე—მტანჯავდა, მქენჯნიდა.

ვით ხავერდზე მძივით ნაქარგი საუცხოვო სურათი, ისე მშვენოდა ველზე წარმოწოლილი კატო (თავი ჩემ კალთაში ედო) და მე, მისს აშიკს, ცეცხლივით მწვავდა...

მთვარემ კატოს თვალებში ჩაანათა, რომლებშიაც მთელი სამოთხე და ჯოჯოხეთი ამოვიკითხე.

— რას გაჩუმებულხარ? სთქვი რამე—დამასწრო კატომ და ნაზად გამიღიმა.

— რა უნდა ვთქვა?.. გიყვარვარ თუ არა?!—სიტყვად ვაქციე ჩემი ის ფიქრი, რომელიც ამ საღამოთი თავიდან არა მშორდებოდა.

— მიყვარხარ... გეფიცები აქ მშვენიერ მთვარეს და ჩვენ მარტოობას, გეფიცები, აი, შორიდან მოგუგუნე ქალაქს, გეფიცები ცასა და ქვეყანასაო!.. გულიანად მითხრა კატომ, კისერზე ხელები მომხვია, მომეალერსა და მერე თვალები მილულა...

მე სახეში ჩავაშტერდი...

არსად გინახავთ ზაფხულის ღრუბლიან დღეს, როგორ საზარლად ჩხავიან და ფოთიალობენ ხოლმე ჭილყვავები? სწორედ ამ ჭილყვავებივით წამომეშალნენ გულის სიღრმიდან შავი ფიქრები, როდესაც კატოს სახეს დავყურებდი.

ეს მშვენიერი ანგელოზის სახე, ეს ღვთიებრივი თვალები, ეს სიყვარულის ფიცი... მაგრამ რა ვიცი რა აზრი უტრიალებს ახლა თავში, კატოს ვინ იცის ახლა ჩემი სიახლოვე, ჩემი ალერსი ამ წუთში სხვა ვისმე, ყოფილ სატრფოს, აგონებს იქნება, აი, ამ წუთში, როდესაც სხეულით ჩემთან არის, აზრით სხვასთან დაფრინავსა სხვას ელერსება, სხვას ეტრფის! რატომ, რატომ არ შეუძლიან კაცს წაიკითხოს მეორეს ფიქრები, **ცარიელი სიტყვები** რა საბუთია ამისი, რაც ახლა, ამ მშვენიერ შუბლის იქით, ტვინის უჯრედებში, ხდება მეთქი! გავიფიქრე და გულმკვნესა დამიწყო .. ჩემი თავი უბედურად წარმოვიდგინე.

მივხვდი, რომ ბუნებას მეც ისე სულ-მოკლე და გულ-ვიწრო გაუჩენივარ, როგორც სხვა ყოველივე სულდგმული... ადამიანის სურვილისაც სამზღვარი ჰქონია!

ბურბუშელასავით ამნაპრიალა ჩემმა სულმოკლეობამ, ჩემმა ეგოისტობამ. ამ წუთში მზად ვიყავ მივვარდნოდი კატოს და დამეღრჩო, გამენადგურებინა, მომესპო იგი დედამიწის ზურგიდან და მეც მასთან მოვსპობილიყავ!

კატომ შფოთვა შემატყო. წამოიწია, ალერსიანად გამიღიმა, ცა და ხმელეთი კვლავ გამახსენა და გულიანად გადამკოცნა.

მთვარე მაღლიდან იღიმებოდა.

ამ კოცნამ დამამშვიდა. კეკლუცმა ქალმა და მშვენიერმა ბუნებამ, მე—„ბუნების ბატონი“—კვლავ დამიმონეს!...

—

წინაგრძნობამ არ მომატყუა. კატოს სიტყვა და აზრი სხვადასხვა ყოფილა. ლამაზი შუბლის შიგნით, ჩემთვის არა ლამაზი აზრი დაჰბადებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს სხვას წაჰყვა... მე მოვებეზრდი.

აი, აქ, გულის სიღრმეში, დავიმარხე მისი სახე და დაჩაგრული ღრმა-ტყეს მოვედე.

დაღონებული ვიჯექი დაბურულ ტყეში და ნაღვლიანად შევყურებდი ას-წლოვან წაბლმუხებს.

ნეტა თუ თქვენც ისე მოგწონთ და გიყვართ ტყე, როგორც მე?! ტყე უღრანი, ტყე დაბურული, მედიდურად რომ შეჰფენია მთის კალთებს, მეფურად რომ მოუხავერდებია მიდამო და გარინდებული სარდალივით გამოჰყურებს მოტიტვლებულ სოფელ-ქალაქებს.

ტყე!.. ეს ხომ მთელი საიდუმლოებაა, მთელი სიცოცხლეა!

ფიქრში წასული ას-წლოვანი მუხები მაგონებენ შორეულ წარსულს, რაღაც საოცნებო, საარაკო ქვეყნებს. მათი ფოთლების შრიალი მიამბობენ დევების ზღაპრებს, მათი დუმილი—მაგონებენ ჩემ მწარე წარსულს.

ოხ, ტყეო, ტყეო! მიყვარხარ მისთვის, რომ ხალხივით გულ-ჩათხრობილი ხარ, ტაშს უკრავ გრიგალს და ქედს არ იხრი ქარიშხლის წინაშე!.. მაშ... იცოცხლე, გაგიხარდოს ღმერთმა შენი პაწია ქორაფები, გრუზა ბუჩქები, დიყა-ბალახები, მთის წყარო და მალხაზი ჩიტუნები!..

დიდხანს ვიჯექ ერთ ადგილას და ტყის საიდუმლო ხმაურობას ყურს ვუგდებდი. იქვე, ჩემს გვერდით, ნაკადული რაღაცას მელუკლუკებდა. ბუჩქის ძირას ამოსული გვირილა მიღიმოდა და ნაკადულის პირად გაბარჯღლული ბორხვენა, თითქოს ლოცულობსო, თავს აკანტურებდა.

ტყე-კი სდუმდა, ბურანში იყო წასული, მხოლოდ განზე გამდგარი ვერხვები განუწყვეტლად შრიალებდნენ და დაუღალავად ფოთლებს ითვლიდნენ.

თითოეული ბალახი, ღერო, ბუჩქი, თუ ჩიტი თავისს საკუთარის სიცოცხლით ცხოვრობდნენ, ჩემი ჯავრი არავის ჰქონდა... ვერ მამჩნევდნენ.

ჩემი თავი ობლად, უპატრონოდ ვიგრძენ. ბოლოს ადამიანურმა გულზვიადობამ დამძლია და ტყეს შევძახე:

— რას გაჩუმებულხარ, შე პირქუშო, მითხარი რამე! შენც ხომ ზღვა არა ხარ, რომ გემი დამიღუპო, ქალი ხომ არა ხარ, რომ საყვარელი გამოიცვალო? სთქვი რამე!

მაგრამ ტყე ისევ სდუმდა და თითქოს გაეცინაო, მარტო ერთხელ დაიგმინა.

უცბად მეორე ხევიდან ხმა მომესმა.

— ვინა ხარ? გადავძახე აქედან.

— ვინა ხარ? გაიმეორა უცნობმა.

— მე... ადამიანი ვარ!

— მე... ადამიანი ვარ!—შემომძახა უჩინარმა.

შევკრთი. ალქაჯების ხმათ მომესმა ეს ძახილი. მიმოვიხედე, ტყე სიბნელეს მოეცვა. ჩამოვიფხატე თავზე ქუდი და სოფლისკენ მოვუსვი.

ტყემ სიცილ-ხარხარი დამაყარა.

„ბუნების ბატონი“ ბუნების საიდუმლოებას გამოვექეცი!..

—

სოფელში რომ ჩაველ და დავფიქრდი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მე დიდი გულზვიადი კაცი ვყოფილვარ... მიწის შვილი თურმე მიწას ვერ ასცილდება!..

ია ეკალაძე.

მშვიდობიანი და უდანაშაულო კაცები. მაგრამ ბ-ნი მილიციონერები მოგვდგნენ ლანძღვა-მუქარით და, მათ უფროსს, ზურაბ აბდუშელიშვილს, რომ არ დავეფარეთ, გლახა საქმე დაგვემართებოდა. ის ჩაგვიდგა წინ და თავისი მძლავრი მკლავებით ცემისაგან დაგვიხსნა. ყველაზე მეტად თავ-გამოდებული იყო ერთი ყმაწვილი კაცი, რომელშიაც ჩვენ ვიცანით სტუდენტი ნ. სულხანიშვილი—ტირძნისელი. ის ჩვენ უშვერი სიტყვებით გვლანძღავდა. რისთვის? ეხლაც ვერ გაგვიგია.

ჩვენი ურემი გაუშვეს და ჩვენ, 5 საათის ტყვეობის შემდეგ, გაგვანთავისუფლეს. გზაზე რომელი გლეხ-კაციც კი შემოგვხდა, ყველა მწარედ უჩიოდა ამ მილიციონერებს.

— მაშ ამ შეიარაღებულ თავად-აზნაურობას გლეხები მტრულად და უნდობლად უცქერიან?—ვკითხე მე „ტყვეებს“.

— მაგაში ეჭვი არ არის!—მიპასუხეს იმათ—ამ საქმეში ჩახედულნი ვართ და ვიცით, რასაც გლეხები ჰფიქრობენ.

მოდი და ამას შემდეგ თქვით, რომ ჩვენს თავად-აზნაურობაში გამქრალია ძველებური მხედრული ნიჭი და გამბედაობაო!.. მშვიდ და უიარაღო ხალხს იჭერენ, ჩვენებას ართმევენ, ასამართლებენ; სოფლებს იარაღით თავს დასტრიალებენ, ხალხს შიშის ზარსა სცემენ და თან ეს „ბრწყინვალე“ მილიციონერები ქვეყანას არწმუნებენ: სამშობლოსთვის ვიღვწითო...

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაკვირვებს ასეთი „მოღვაწეობა“. საკვირველი უფრო ის არის, რომ ქართლელ აზნაურთა მილიციაში ერთად-ერთი პირი მოჰყოლია ისეთი, რომელსაც იქ ვითომ ადგილი არ უნდა ჰქონოდა. იქნება ეს თვითონ ბ-ნმა ა. ყიფშიძემ აუხსნას საზოგადოებას?...

გერმანიის წარსულიდან

როდესაც გერმანიის ხალხი ჯერ კიდევ გაჩუმებული იყო და საპოლიტიკო მოქმედებას ერიდებოდა, როდესაც მხოლოდ აქა-იქ, შორიდან, მოისმოდა ახალი მოძღვრების ხმები და ლიბერალურს საზოგადოებას ჯერ გული არაჰქონდა გატეხილი მთავრობისგან, მისგან წყალობას ელოდა და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ შესაძლებელი შეიქმნებოდა საქმის მშვიდობიანად მოწყობა, თან მთავრობასთან გაუბედავად მოლაპარაკებასაც იწყებდა,—მწერლობა, საუკეთესო მწერლები ბრძოლას ჰქადაგებდნენ უკვე, ხალხს ეუბნებოდნენ, რომ უბრძოლველად საქმის გადაწყვეტა არ არის შესაძლებელი.

საზოგადოება კიდევ პეტიციებს აცხობდა, კრებებს მართავდა,—მწერლობა კი გაბედულად აცხადებდა, რომ პეტიციებით, თხოვნით არა გახდება რა, რომ მმართველი წრეები ნებით არაფერს არ დაუთმობენ არავის.

მწერლობა საპოლიტიკო უფლებებს ითხოვდა ხალხისთვის, უკეთეს მომავალს წინასწარმეტყველობდა გერმანიაში. და შემდეგ, როდესაც საპოლიტიკო ბრძოლა თანდათან გამწვავდა, როდესაც საზოგადოება თანდათან უფრო შორდებოდა მთავრობას, მწერლობაც უფრო გაბედულის კილოთი ლაპარაკობდა და მწერლობის ნაწარმოებში თანდათან უფრო აშკარა ხდებოდა საპოლიტიკო ტენდენციები.

მართლაც, იმ დროს გერმანიაში საერო წარმომადგენლობა არ არსებობდა სრულებით და ერთი-ღა სამწერლო ასპარეზი რჩებოდა, სადაც საზოგადოებას შეეძლო აზრის გამოთქმა, სურვილების გამომჟღავნება. აქ ამ ასპარეზზე თავს იყრიდა ყველა მებრძოლი ძალა და ყოველი მწერალი თავის თავს სთვლიდა ვალდებულად მიეღო მონაწილეობა საერთო მოძრაობაში.

მართალია, აქაც ორიოდე გამონაკლს შევხვდებით. გეტე, დიდებული გეტე, გერმანელ მწერლების თვალი,—ნიჭიერი ადამიანი,—გერმანიაში ხალხის საპოლიტიკო მოძრაობის დროს განზე იდგა, იმალებოდა თვითონ, თავის ნიჭსაც მალავდა და თავის სამწერლო ნიჭით არაფერი მონაწილეობა არ მიუღია ხალხის განთავისუფლების საქმეში.

მისმა ამნაირმა ქცევამ ბევრი წინააღმდეგობა გამოიწვია დანარჩენებში. ბერნე, მაგ., მწერალი, რომელიც საერთო მოძრაობას სულითა და გულით ემსახურებოდა, გეტეს მიწასთან ასწორებდა და აცხადებდა, რომ „დიდებულ“ გეტეს მას უკანასკნელი მწერალი ურჩევნია, ვინაიდან გეტემ თავისი ნიჭი არ მოახმარა ხალხის განთავისუფლებას.

გეტესთან ერთად ბერნე შილლერსაც ჰკიცხავს: „ბარაქალა ასეთ მეთაურებსო! ერთის მხრივ გეტე, რომელიც მცირე ხმაურობაზე იმალება თავგივით სოროში, ჰაერზედაც აცხადებს უარს, ხელს იღებს ყოველგვარ თავისუფლებაზე მხოლოდ იმისთვის, რომ სოროში დამშვიდებულად ღრღნას მოპარული ქონის ნაჭერი! მეორეს მხრივ კი შილლერი, ესეც შეშინებული, ცხოვრების სინამდვილეს დაშორებული, ცაში, ღრუბლებში გადასული! შილლერი, რომელიც ზევიდან ვეღარ ხედავს ცხოვრებას, ივიწყებს ადამიანს, კაცობრიობას! ბარაქალა ასეთ მეთაურებს! მაგრამ რა ჰქნას მათ ხელში საცოდავმა ხალხმა, რომელიც მოკლებულია მეთაურს, მოკლებულია დამცველს და მეგობრებსაც, ხალხმა, რომელიც ძალმომრეობის მსხვერპლი გამხდარა, ყბად ასაღები და სასაცილო“?

ბერნეს შეხედულობით, ყოველი მწერალი კალმითა და პირად მოქმედებითაც უნდა იღებდეს პირდაპირ მონაწილეობას ხალხის მოძრაობაში. „რა სასაცილოა მწერალი, რომელიც ჰფიქრობს—მხოლოდ ჩემი კალმით უნდა გავუწიო სამსახური საზოგადოებას? რა სასაცილოა მწერალი, რომელიც, თბილ ოთახში გამომჯდარი, კარგ ტანისამოსში გამოწყობილი, კარს იკეტავს და შორიდან დასცქერის ბრძოლის ველს, ითვლის შორიდან მოკლულ-დაჭრილთა რაოდენობას, მათ დაწერილებით აწერას იწყებს იმისთვის, რომ შემდეგ ამ შრომაში გამომცემლისაგან მიიღოს ჯილდო,—არა, ეს სასაცილო კი არა, სამარცხვინოა“!

მართლაც ბრძოლა ცხარდებოდა თანდათან. მმართველი წრეები ცდილობდნენ სხვადასხვა სასტიკი ზომით მოესპოთ ხალხის გამოფხიზლება, სხვადასხვა რეფორმა შემოდიოდა საჩქაროდ იმისთვის, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი მაინც მთავრობის მომხრე და მადრიელი გამხდარიყო, ამნაირად მისუსტებულიყო ოპოზიცია. მაგრამ მწერლობა მმართველ წრეების ოინებს მიუხვდა ადვილად და ყველას აფრთხილებდა, ყველას ამზადებდა საერთო ბრძოლისთვის.

გამოჩნდა მრავალი საპოლიტიკო მიმართულების პოეტი, რომელიც თავის კალამს იარაღად ხმარობდა სამშობლოს განთავისუფლების საქმეში.

სხვა უნიჭო მწერლებთან ერთად, რომელნიც ნიჭის უქონლობას რაღაც გაურკვეველ საოპოზიციო შინაარსით ავსებდნენ, იმ დროს გამოჩნდა მწერლობაში რამოდენიმე ნიჭიერი მწერალიც, როგორიც არის, მაგ., ჰეინე, ჰერვეგი, ფრეილიგრატი, და სხვა.

ჰერვეგი, მაგ., ეუბნებოდა გერმანელებს: «კმარა, რაც გამოგიჩენიათ სიყვარული და მორჩილებაო, ახლა დრო შეიცვალა, ახლა ყოველი პატიოსანი ადამიანი ვალდებულია შეეჩვიოს სიძულვილს... სიძულვილი საჭიროა, აუცილებელი... თხოვნა-ვედრებას არაფერი არ შეუძლია, ახლა ბრძოლით, იარაღით უნდა მივაღწიოთ ჩვენ მიზანს; სიყვარული ვერაფერს გვიშველის, სიყვარული ვერ გადაგვარჩენს დაღუპვისაგან! მოდი, სიძულვილო! მოდი მალე და ძალაც მოგვეცი იმისთვის, რომ დავამსხვრიოთ ბორკილი და მივაღწიოთ თავისუფლებას! სიძულვილო, მოიკიდე ფეხი ჩვენ გულში ამისთვის, რომ შევიძულოთ ყოველი მტარვალი! დიდი ხნის შეჩვეულნი ვართ სიყვარულს, ახლა სიძულვილი გვჭირია უფრო“!

მეორე ლექსში იგივე პოეტი აცხადებს: „რად გინდათ ჯვრები სასაფლაოზე? ამოიღეთ, აქციეთ ხანჯლებად ახლავე! ასეთი საქციელი ცოდვად არ ჩაითვლება არავის! მტარვალებთან ბრძოლასაც სჭირია თავისი კეთილმსახურნი,—ეს საქმე უნდა ვიკისროთ ყველამ!“

მეორე პოეტი ფრეილიგრატი თავის ლექსში „თავისუფალი პრესსა“ ხალხის მოძრაობას აგვიწერს,—აჯანყებულ მუშებს დააკლდათ ტყვია, ამიტომ სტამბებში ასოები ტყვიებად ჩამოუსხეს და დაიწყეს ისევე ბრძოლა“.

რადიკალური მწერლობა იღებდა ზოგიერ ლიბერალებს: „ნელ-ნელა! თანდათან! წინ! სიარულში არ აჩქარდნენ! ნუ ჩქარობთ, უფრო მალე დაწინაურდება ამითი ხალხი!“

მწერლობის ამნაირ მიმართულებას ხედავდა მთავრობა და, რასაკვირველია, ცდილობდა სასტიკ ცენზურის საშუალებით მოესპო პრესსაში და მწერლობაში ბრძოლის კილო, თავისუფალი მიმართულება..

მაგრამ მთავრობის მეცადინეობა უნაყოფო გამოდგა. სადაც, პირდაპირ აზრის გამოთქმა აკრძალული შეიქმნა, იქ მწერლებმა იგავ-არაკებით დაიწყეს თავიანთ აზრის გადაცემა. გერმანელი ხალხი გამოჰყავდათ ახლად გამოღვიძებულ მძვინვარე ლომად, მთავრობა— დათვად, რომელიც ყველას ხელს უშლის და არავისთვის საჭირო არ არის.

ჰარსო ჰარრინგი 1834 წ. საბრძოლველად იწვევდა გერმანელ საზოგადოებას.

„ბრძოლა, ძმებო, თავისუფლების დღე გვითენდება! სისხლი! სისხლია საჭირო; ბრძოლა დაიწყოთ თავისუფლების მოსაპოვებლად!“

მთავრობა ატუსაღებდა მწერლებს, მაგრამ ამითი მხოლოდ ხელს უწყობდა მათ ნაწარმოების გავრცელებას გერმანიაში.

ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა ბოლოს მწერლობის გამარჯვებით დასრულდა.

—*

რუსეთი

გერმანული კონსერვატიული გაზეთი „კროიც ცეიტუნგი“ რუსეთის შესახებ სწერს: რუსეთის განათლებულმა საზოგადოებამ აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა და საერო წარმომადგენლობა მოითხოვა. თუ ეს მოთხოვნილება არ აასრულა რუსეთის მთავრობამ, რუსეთს ცუდი დღე მოელის. ამჟამად რუსეთის ოპოზიციის უმეტესობა მზად არის იარაღით დაიცვას თავის მოთხოვნილებანი. ოპოზიციის მეორე ნაწილი უფრო ზომიერია, მაგრამ ორივენი მხოლოდ ადამიანის თავისუფლებასა და კანონმდებლობაში მონაწილეობის მიღებას თხოულობენ. რუსეთის თავად-აზნაურთა ნაწილმა ერთ და იმავე დროს თვითმპყრობელობის დარჩენაც მოითხოვა და რეფორმებიც. ეს ან პოლიტიკანობა უნდა იყოს, ან განზრახი ულოღიკობა. რუსეთის ავტოკრატია იმაში გამოიხატება, რომ მოხელეებს უსაზღვრო უფლებანი ეძლევათ.

რუსეთის მთავრობა უგუნურად იქცევა: ხალხში საშინელი მოძრაობა დაიწყო. გაუნათლებელი და **ბნელი ხალხი რუსეთის საუკეთესო საზოგადოების გადაჰკიდეს, ერთი ერი მეორე ერს მიუსიეს** და მთავრობა კი ხელსაც არ ანძრევს და ფიქრობს, ვითომ ეს მოძრაობა კონსტიტუციონალთა მოძრაობას ჩააქრობსო. ცხადია, რომ **რუსეთის მთავრობა სახელმწიფო ინტერესებს ყურს არ უგდებს და მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს.** ერთად-ერთი ხსნა მხოლოდ და მხოლოდ საერო წარმომადგენლობაა.

ასე სწერს რუსეთის შესახებ გერმანულ კონსერვატორთა ორგანო, რომელიც რუსეთის კონსერვატორთა—მეშჩეესკისა და გრინგმუტების შესახებ ამას წინად სწერდა: როგორ შეიძლება მაგათი ყურის გდება? მაგათ ჯერ როზგით უნდა ასწავლო ანბანი და მერე დაუგდო ყურიო (რ. ვ.).

✦ ლოძში 14 მაისს **დახოცილ მუშების დამარხვას 20,000 კაცი დაესწრო.** სასაფლაოზე მრავალი სიტყვა იქმნა წარმოთქმული. ხალხს აქეთ-იქიდან რამდენიმე ათასი კაზაკი და სალდათი მისდევდა (რ. ვ.).

✦ საფრანგეთის ცნობილმა მეცნიერმა ანატოლ ლერუა-ბოლიემ მოსკოვში ლექცია წაიკითხა რუსეთის ოპოზიციონურ მოძრაობის შესახებ: მეორე დღეს **განთქმული მეცნიერი იძულებული იყო მოსკოვიდან წასულიყო** (რ).

✦ მთელი **ვარშავა 6 სამხედრო უბნად დაჰყვეს.** უბნის უფროსად პოლკოვნიკი ითვლება. უბნის ბოქაული პოლკოვნიკს ემორჩილება და ყველა საღამოს თავის უბანში მომხდარ ამბებს ატყობინებს (რ. ს.).

ლოძის პოლონურ გაზეთს თერთმეტი ცენზურა უდარაჯებს: 1. სასახლის შესახებ პეტერბურგში იგზავნება სასახლის სამინისტროში; 2. პეტერბურგის სააგენტოს დეპეშებს პეტერბურგშივე შინჯავს ცენზურა; 3. პუბლიცისტურ წერილებს განსაკუთრებული ცენზორი სინჯავს ლოძში; 4. ომის ამბებს სამხედრო ცენზურა სინჯავს ვარშავში; 5. პოლიციის შესახებ ცნობები პოლიცმეისტერს ეგზავნება; 6. ექიმების განცხადება საექიმო სამართველოს უნდა გაეგზავნოს პეტერბურგში; 7. ჩვეულებრივ განცხადებანი და ნეკროლოგები პოლიცმეისტერს; 8. გაკვეთილების შესახებ განცხადებანი—სამოსწავლო დირექციას; 9. სასწავლებლების შესახებ წერილები—სამოსწავლო ოლქის უფროსს ვარშავაში. 10. წერილები სარწმუნოების შესახებ—სასულიერო საქმეთა დეპარტამენტს პეტერბურგში; 11. სასამართლოს ქრონიკა—პროკურორს (რ. ს).

✦ ორიგინალური ცხოვრება დამყარებულა კიშინოვში. ყოველ დღე, დაღამდება თუ არა, კომბლებით, რევოლვერებითა და დანებით შეიარაღებული ,,პატრიოტები‘‘—ხულიგანები ჯგუფ-ჯგუფით იფანტებიან ქუჩებში და ,,დემოკრატებს‘‘ უდარაჯებენ, გამვლელსა და გამომვლელსა სინჯავენ და, თუ მიიტანეს ან აღმოაჩნდა რამე საეჭო, იმდენს სცემენ, სანამ ,,დემოკრატი‘‘ ან სულს არ დალევს, ან გული არ წაუვა. ყოველ დღე დილით პოლიცია ქუჩებში ნაცემ ,,დემოკრატებს‘‘ პოულობს და საავადმყოფოში მიჰყავს. ხულიგანებს თავიანთი შტაბ-კლუბიც აქვთ, რომელიც კუზნეჩნის ქუჩაზე, № 6-ის სახლშია. ყოველ დღე ამ შტაბში ასობით იკრიბებიან ხულიგანები და ,,პატრიოტები‘‘. თავმჯდომარედ ირიცხება ერთი ,,განათლებული‘‘ ახალგაზდა, რომელიც საიდგანღაც აუარებულ ფულს იღებს ,,სამხედრო სამინისტროსთვის‘‘ და რაზმების შესანახად. ყოველი ,,პატრიოტი‘‘ თვეში 20 მანათს იღებს, ,,დემოკრატის‘‘ დაჭერისთვის 50 კაპ. აძლევენ, ცემისთვის 30 კაპ. (ს. ო.).

✦ ომის დასაწყისიდან რუსეთის ყველა მოხელეებს ჯამაგირიდან 1—2 პროცენტს ურიცხავენ ომის სასარგებლოდ. ეხლა პეტერბურგში **მოხელეებს პატრიოტული გრძნობა ცოტათი ჩანელებიათ** და გამოუცხადებიათ **ომის—სასარგებლოდ** ჯამაგირიდან კაპეიკს აღარ დავიკლებთო (ჩ. პ.).

ღამის დეპეშები

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

21 მაისი.

ტოკიო. ტოგოს მეათე მოხსენება: კრეისრებს „ივაცეს“-სა და „იაკუმო“-ს არ უნახავთ რუსის გემები ტროშიმოსა და შანჰაის შორის. კონტრ-ადმირალი შიმამურა იუწყება, რომ იმის საფლაგმანო გემი 14 მაისს საშინლად ესროდა კრეისერ „ემჩუგს“ 3,000 მეტრის სიშორეზე და უეჭველია, დაღუპა კიდეც. იაპონელების სიტყვით, რუსების დამარცხების მიზეზი პირის ქარი იყო. მზეც რუსებს თვალებში უბრწყინავდა, იაპონელები კი ჩრდილში იყვნენ. ისინი იქით ისროდნენ, საითაც ქარი მიჰქროდა. ამბობენ, ნებოგატოვის დატყვევება აუცილებელი იყო, რადგან ყუმბარები გამოილეოდა. ეტყობა, როჟესტვენსკი არ მოელოდა, თუ ტოგოს თავმოყრილ ფლოტს შეხვდებოდა ცუსიმის სრუტეში. იაპონელები დიდხანს ვარჯიშობდნენ სროლაში უამინდობის დროს. შეხვედრისათანავე გამოაშკარავდა, რომ იაპონელები დასძლევდნენ რუსებს. „ტაიმსი“ იუწყება, იმპერატორმა ბძანა ნებოგატოვის განთავისუფლება, რათა მოხსენება გაუგზავნოს ხელმწიფეს ბრძოლისა და დანაკარგის შესახებ.

სასებო. ამბობენ, ნებოგატოვი რავდენისამე დღის შემდეგ გაემგზავრებაო. იაპონელების ორი მაშველი კრეისერი ზღვას ათვალიერებდა და დაზიანებულ გემების მეზღვაურ რუსებს ეძებდა, რომ გადაერჩინა, 18 მაისს ორივენი დაბრუნდნენ და 60 კაცზე მეტი მოიყვანეს. დატყვევებულთა რიცხვი 5,000-მდე ავიდა. როჟესტვენსკის იაპონელი ექიმები სწამლობენ. მორჩენის იმედი აქვთ. როჟესტვენსკის შტაბის უფროსი მსუბუქად არის დაჭრილი.

ნაგასაკი. რვა ექიმი, შვიდი მღვდელი და 20 არა-სამხედრო პირი, ბრძოლის დროს დატყვევებულნი აქ მოიყვანეს და საფრანგეთის კონსულს ჩააბარეს, რომ სამშობლოში გაგზავნოს.

ვაშინგტონი. კასინი რუზველტთან იყო. გაზეთების სიტყვით, რუზველტმა იმედი წარმოსთქვა, რუსეთი ზავს მალე მოინდომებს, რადგან დარწმუნდა, რომ უნაყოფო ქლეტას ბოლო უნდა მოეღოსო; რუზველტმა განაცხადა, მშვიდობიანობის აღდგენაში მონაწილეობას მივიღებო,

ლონდონი, 20 მაისი. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი, რომელიც საზღვაო ბრძოლას დაესწრო, მოჯიდან იუწყება, რომ ბრძოლა 14 მაისს დილით დაიწყო, სროლამ 14 საათს გასტანა. 15 მაისს ღამის 2 საათზე სროლა შესწყდა. ბრძოლა 16 მაისს დილით გათავდა. რუსეთის ესკადრა 30 გემისაგან შესდგებოდა და 10 მილის სისწრაფით პირდაპირ ცუსიმასკენ მიდიოდა. იაპონელებმა გაიგეს, რომ რუსებს იმის იმედი ჰქონდათ, ვითომ ტოგოს შეეშინდა და მიიმალაო. დამტკიცდა, რომ რუსებმა არ იცოდნენ, თუ სად იყო ტოგო. ნაშუადღევის 2 საათზე იაპონელების მხრით ზარბაზანი გავარდა. იაპონელების მიერ ნასროლი თითქმის ყველა ყუმბარა მიზანს მოხვდა. 2 საათსა და 13 წუთზე რუსებმა ორჯერ დასცალეს ზარბაზანი, მაგრამ ვერ მიუწიეს. იაპონელებმა რუსები კიუსიუს კუნძულისკენ მიჰყლიტეს. რუსებმა აღმოსავლეთისკენ გადაუხვიეს, იაპონელებმა ჩრდილოეთისკენ. იაპონიის ესკადრას ტოგოს გემი ,,მიკაზა‘‘ მიუძღოდა წინ. მალე ,,ბოროდინოს‘‘ ცეცხლი მოეკიდა. რუსებმა დასავლეთისკენ გადმოუხვიეს. იაპონელებიც თან გაჰყვნენ. იაპონელთა მეორე დივიზიამ რუსებზე იერიში მიიტანა, გვერდში ამოუდგა და იმავე დროს ზოგიერთ გემს რუსების კუდზე იერიშის მიტანა დაავალა. მესამე დივიზია რუსებს უკანიდან მისდევდა და ამ რიგად რუსები შუაში მოემწყვდნენ. რუსებმა გაქცევა სცადეს, მაგრამ იაპონელთა ნაღმოსნებმა არ გაუშვეს. რუსები ამ ყოფაში მეორე დღემდის იყვნენ. მეორე დღეს კი ტოგომ თავის ესკადრას ბრძანება მისცა, რუსებს ცეცხლი მოუკიდეთო. პირველად რუსებს ტოგოს პატარა გემები მიესივნენ. რუსებმა საშინლად დაუშინეს ზარბაზნები. ტოგომ იცოდა, რომ რუსებს ცოტა ყუმბარები დარჩათ, და უნდოდა რუსებისთვის ყუმბარები სულ დაეხარჯვინებინა-ტოგომ თავის სურვილს მიაღწია. ბრძოლამ საღამომდის გასტანა, იაპონელები, გაუსწრობდნენ თუ არა რუსებს, მაშინვე წრეს გააკეთებდნენ ხოლმე და რუსებს შუაში იმწყვდევდნენ. რუსებს უკანიდანაც მოსდევდნენ იაპონიელები. ბოლოს რუსების გემები დაფანტეს, ზოგი ჩასძირეს, ზოგიც დაატყვევეს.

შანჰაი. სხვადასხვა გემებით მოსულ რუსის აფიცრების ნალაპარაკევიდან სჩანს, რომ ბალტიის ესკადრას იმედი ჰქონდა უბრძოლოდ გაევლო ვლადივოსტოკისკენ, თუმცა მას შემდეგ, რაც სადლის კუნძულებზე ისადგურეს გემებმა, მათი მოძრაობის დამალვა შეუძლებელი იყო. ნაღმოსნების პირველმა იერიშმა აიძულა რუსის გემები ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დაეწიათ, სადაც იაპონელებს ნაღმი ჩაეყარათ, რასაც წააწყდნენ „ბოროდინო“, „კნიაზ სუვოროვ“ და „ალექსანდრ III“. ის აზრი, ვითომც წყალში მავალ ნავები მოქმედობდნენ—უსაფუძვლოა. თუ იაპონელებს აქვთ ესეთი ნავები, მათი მოქმედება არაფერში გამოჩნდა. დანამდვილებით ამბობენ, რომ როჟესტვენსკის ძალა-უნებური მოქმედება იმითი იყო გამოწვეული, რომ სანეიტრალო სახელმწიფოებმა ყველაფრის შოვნა გაუძნელეს.

პარიზი, 21 მაისი. კამიმურას ესკადრა შანჰაის მოვიდა და რუსეთის კონსული ძალით დაითანხმა, რომ რვა გემს სეკვესტრი დაედოს. შემდეგ კამიმურამ სახალინზე გაილაშქრა.

ლონდონი, 20 მაისი (რეიტერი). ლორდ ბალფურის დღევანდელ სხდომაზე ნიუტონმა მიაქცია ყურადღება ავგანისტანის ხელშეკრულობაზე და სამწუხაროდ მიიჩნია, რომ ინგლისი ახალ ხელშეკრულობის დადებისას არ შეეცადა უფრო ხელ-საყრელ პირობების დადებას, ჩვენ უნდა ნებართვა მიგვეღო, რომ ავგანისტანში გაგვეგზავნა აფიცრები იქაურ ჯარების გასაწვრთნელად, უნდა გვქონოდა ტელეგრაფი ავგანისტანის უმთავრეს ქალაქებში, გაგვეგრძელებინა რკინის გზა სტრატეგიულ ადგილებშიო.

ბარცელონა, 19 მაისი („ჰავასი“). საღამოს 5 საათზე სამხედრო გუბერნატორის სასახლესთან ყუმბარამ იფეთქა. დიდი ვრება მოიტანა, 10 კაცია დაჭრილი, მათში ორი იტალიელია.

სევასტოპოლი, 20 მაისი. ადგილობრივმა რედაქციებმა კვირა-უქმის დღეს ასოთ-ამწყობთა შესვენება დააწესეს, ორშაბათობით და უქმის მეორე დღეს გაზეთები აღარ გამოვა.

თეირანი, 20 მაისი (რეიტერი). სპარსეთის დესპანი მირზა-მაჰმუდ-ალი-ხან ინგლისში ბრუნდება. იმან მიიღო თავადის წოდება და უმაღლესი სამხედრო ხარისხი. ლონდონში ბრუნდება იგი როგორც საგანგებო დესპანი და თან მიაქვს მეფე ედუარდისათვის შაჰის გულითად განწყობილების ნიშნად ძვირფასი ძღვენი. ორივე სახელმწიფოს კეთილი განწყობილება განამტკიცეს.

პეტერბურგი, 20 მაისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა უკვე დაამთავრა განხილვა იმ მოსაზრებათა, რომელიც უნდა შეიმუშავოს ხალხის წარმომადგენელთაგან შედგენილმა სხდომამ ახალ კანონმდებლობათა შესახებ, და მინისტრთა საბჭოში წარადგინა.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი 1905 წ.

სამ-თვიან გექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	83⅞
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	377
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	288
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	254½
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	[illegible]
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	192
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	—

განცხადებანი

Въ Центральной Книжной Торговлѣ,
въ Тифлисѣ, поступили въ продажу:

Желѣзновъ. Очерки политической экономіи. М. ц. 3 р. перес. 40 к.

Дорошевичъ. Семья и школа. М. ц. 1 р. пер. 25 к.

Звягинцевъ. Общественное движеніе въ Россіи въ началѣ девятнадцатаго вѣка. Р. ц. 20 к. перес. 13 к.

Каутскій. Противорѣчія классовыхъ интересовъ въ 1789 году, Р. ц. 20 к. перес. 13 к.

Марксъ. Рѣчь о свободѣ торговли. О. ц. 15 к. пер. 11 к.

Стихотворенія священника Никандра Покровскаго, тетрадь I н. ц. 35 к. перес. 15 к.

Танонъ. Эволюція права и общественное сознаніе С. II ц. 1 р. перес. 25 к.

Авенаріусъ. Критика чистаго опыта въ популярномъ изложеніи А. Луначарскаго. Новая теорія позитивнаго идеализма. М. ц. 80 к. перес. 20 к.

Алексѣевъ. Земскіе соборы древней Руси. Р. ц. 10 к. перес. 11 к.

Богдановъ. Эмпиріомонизмъ. Статьи по философіи, 2 ч. М. ц. 1 р. 50 к. перес. 30 к.

Царевичъ Вахушти. Географія Грузіи. Т. ц. 1 р. перес. 25 к.

Программы для поступленія въ юнкерскія училища ц. 1 р. перес. 25 к. городскія учил. ц. 30 к. перес. реальныя училища ц. 50 к. перес. 25 к. классическія гимназіи ц. 50 к. перес. женскую гимназіи ц. 20 к. перес. 11 к. дѣвичьи институтъ ц. 25 к. перес. 13 к. повивальныя школы ц. 20 к. перес. 13 к. на первый классный чинъ ц. 30 к. перес. 13 к. для испытанія лицъ, желающихъ получить званія: учителя уѣзднаго училища, домашняго учителя и учительницы, учителя и учительницы приходскихъ и начальныхъ училищъ ц. 30 к. перес. 15 к. 1—1

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი,

შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

განცხადება

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-14—§-ის თანახმად, ამა 1905 წლის ივნისში, ქ. ტფილისს, ბანკის სადგომში ფრეილინის ქუჩაზე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახადთა შემოუტანლობისათვის, მე-12, 17, 27, 28 და 36 §§-მებრ.

ვაჭრობა იმ მამულებისა, რომელზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული მოხდება: **ქალაქის მამულებისა** ა) **ტფილისისა** 27-ივნისს, ბ) **ტფილისის გარეშე ქალაქებისა** და აგრეთვე იმ მამულებისა, რომელზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, როგორც ქალაქის მამულებზე—28 ივნისს, გ) **სოფლის მამულებისა,** რომელზედაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი—30 ივნისს, და დ) სოფლის და ქალაქის მამულებისა, რომლებზედაც გაცემულია ხანმოკლე-ვადიანი სესხი—30 ივნისს.

მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, მოხდება იმავე გამგეობაში ამა 1905 წლის 14 ივლისს.

ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად, ვაჭრობა ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდან დაიწყობა და მასვე მიემატება სავალო, საერობო და აგრეთვე საქალაქო ხარჯები.

ვისაც იმ მამულების ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, რომელთა გირავნობის ქვეშ გაცემულია გძელ-ვადიანი სესხი, აგრეთვე ის მოკლე-ვადიანი სესხნი, რომელთა თავნი ვალის გადასახადის ვადა ჯერ არ გათავებულა,—ვალდებულია ნაღდ ფულად წარმოადგინოს გირაო, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკში შესატან დარჩენილ გარდასახადთა და აგრეთვე იმ დარჩენილ საერობო და საქალაქო გარდასახადთა, რომლებიც ვაჭრობის დღისთვის მამულზე აღმოჩნდება. იმ მამულებისა კი, რომელთა გირავნობის ქვეშაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი და რომელთა გადახდის ვადა დამდგარა—უნდა წარადგინოს გირაო, ზემო-აღნიშნულ თანხის გარდა, თავნი ვალის კიდევ 10%.

ვაჭრობის დამთავრების შემდეგ მეიდველი ვალდებულია წარმოადგინოს: ნასყიდობის გარდასახადი—7 დღის განმავლობაში და ის ფული, რომელსაც ვაჭრობაში წაუმატებს, 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის დამთავრების დღიდან.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 21 мая 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.